პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1979 წელი ოთხშაბათი 24 იანვარი № 20 (17365) ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ადამიანზე ფიქრით და ზრუნვით

ვ. ი. ლენინის ცნობილი დებულების მართებულობა იმის თაობაზე, რომ სახელმწიფო ძალიერია მასების შეგნებულობით, რომ რაც ძლიერია მასაში, როცა მასებმა ყველაფერი იციან, საერთაშორისოდ ყველაფერზე იმსჯელონ და ყველაფერს შეგნებულად აკეთებენ.

თუ ოდესმე თავი უჩენია საბჭოთა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი განვითარების ამ კანონზომიერებას, მან თავი იჩინა ისე, როგორც არასდროს სწორედ ჩვენს დღევანდელ ცხოვრებაში. ეს არ არის მარტო სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი სრულყოფის ან საინფორმაციო-პროპაგანდისტული მუშაობის მასშტაბების ზრდის შედეგი. საზოგადოებრივი აქტიურობა განსაკუთრებით დამახასიათებელია სოციალიზმის მომწიფებული ეტაპისათვის. საბჭოთა მოქალაქე დღეს უდიდესი დაინტერესებით ეკიდება სახელმწიფოებრივ საქმეებს.

სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში მშრომელთა ფართო მონაწილეობის ფორმათა მრავალსახეობათაგან ჩვენმა სინამდვილემ შეითვისა და დაამკვიდრა მშრომელთა წერილების, წინადადებების, მოსაზრებებისა და საჩივრებისათვის საზოგადოებრივი ყურადღების მინიჭება, ხშირად კი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დონემდე აყვანა, მათი საჯაროობა, მათზე აუცილებელი რეაგირების გამოცდილება.

•

უამრავ წერილს იღებს ყოველდღიურად გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია. რას სწერს მკითხველი გაზეთს? თუ ვ. ი. ლენინის ზემოთ მოყვანილი დებულების ცნებებით ვისარგებლებთ — ყველაფერს.

მკითხველს უხარია, როცა მისი და მისი ოჯახის, მისი კოლექტივის გარემოცვა ნათელია და კეთილი, როცა შენდება სახლი და მწვანდება ქუჩა, როცა ღიმილით ხვდება მას კაცი, მთა, კორომი.

მკითხველი მადლიერია კომუნისტური პარტიისა მშრომელი ადამიანის ცხოვრების გასალამაზებლად, კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად მისი ცდისა და მონდომებისათვის.

ქართველი მკითხველი თავის აღფრთოვანებას არ მალავს, ამაყობს იმით, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ნოემბრის პლენუმის დადგენილების საფუძველზე ანუ პარტიის ნებით საქართველო და მისი პარტიული ორგანიზაცია ამიერიდან ღირსეულად არიან წარმოდგენილი მსოფლიოში ყველაზე მრავალრიცხოვანი და ყველაზე მძლავრი კომუნისტური ერთობის ლენინურ შტაბში, რომ ერუდირებული, ენერგიული და მამაცი ადამიანები მეთაურობენ რესპუბლიკის სახიერებულო ნამოღვაწარს.

მაგრამ ყოველად გაუგებარი და გაუმართლებელი იქნებოდა ჩვენი მკითხველის ხვედრად მხოლოდ ემოციები გვეღიარებინა.

პარიქით, იგი, ჩვეულებრივ, საქმეში ღრმად არის ჩახედული, ზედმიწევნით ინფორმირებულია, მას იშვიათად ღალატობს ალღო სიტუაციაში გარკვევისას, რაც, კვლავ გავიხსენოთ ვ. ი. ლენინი, საშუალებას აძლევს იმსჯელოს ყველაფერზე და საკმაო კომპეტენციითაც.

ამიტომ ითვლის საბჭოთა საზოგადოებრივი პრაქტიკა უამრავ ფაქტს, როცა მკითხველის ჩარევით, წინადადებით, რეკომენდაციითა და ზოგჯერ კატეგორიული მოთხოვნით ახევე დაუთვლელი საჭირბოროტო საკითხი გადაჭრილა სახელმწიფოებრივი სისტემის ყველა დონეზე.

ამიტომ მიგვაჩნია ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, რომ სახელმწიფო თვითონ ჩვენა ვართ!

ყოველივე ამის დასტურად თუნდაც ჩვენი გაზეთის ის მასალებიც კი იკმარებს, რომლებიც გვაუწყებს, რომ მკითხველის მიგნებითა და მიწოდებით ამა თუ იმ პრობლემას თავი დაედგა, ესა თუ ის აქტუალური საკითხი გადაიჭრა.

რედაქცია აპირებს უფრო მეტად განამტკიცოს მკითხველისა და გაზეთის შემოქმედებითი კავშირი, გააფართოოს საერთო მიზნის მიღწევის გზები, მოქმედი რუბრიკები: „წერილების კვალდაკვალ“, „კომუნისტის“ კონტროლზეა“, „მოჭირნახული კაცის თვალით“ და სხვები, ამრავლოს ახალი რუბრიკებითა და განყოფილებებით: „ხუსხიანი სტრიქონები“, „მკითხველის სვეტი“, „მკითხველის ფელეტონი“ და ა. შ. სარედაქციო ფოსტას აწ ხშირად განიხილავენ მინისტრები და უწყებათა უფლებამოსილებით აღჭურვილი თანამდებობის პირნი. ახალი წლის სამი კვირის მკითხველთა ფოსტა პროფილის შესაბამისად უკვე განიხილა რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის მინისტრმა ამხ. კ. გარდაფხაძემ. რედაქციის მისამართისა და ტელეფონების აბრას ახლა დაემატება ახალი სატელეფონო ნომერი, რომელიც მკითხველს გაზეთის ახლად შექმნილ საზოგადოებრივ მისაღებს დაამეგობრებს.

მაღალი შეგნება და ღირსება, ცხოველი დაინტერესება, ავ-კარგიანობა, ფხიზელი თვალი და საკვეყნო საქმეებისათვის მზადყოფნა — აი, რა ახასიათებს საბჭოთა მოქალაქეს. ასეთია „კომუნისტის“ მკითხველიც.

მაგრამ უეჭველია ისიც, რომ მკითხველთა მასის სწორედ ეს დამახასიათებელი თვისებები დიდი ამოცანებისა და პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს ყველა რანგისა და მასშტაბის იმ ხელმძღვანელებს, ვისაც ურთიერთობა აქვს მასებთან, ვისზეც ბევრად თუ მცირედ არის დამოკიდებული მუშის, კოლმეურნის, მოსამსახურის, მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენლის კულტურული, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, სატრანსპორტო და სხვა რაიმე სახის მომსახურება.

ჩვენდა სავალალოდ, ჯერ კიდევ სანთლით საძებნი არ არიან ხელმძღვანელები, რომლებიც მათ დაქვემდებარებულ ან მათზე დამოკიდებულ ადამიანს უყურებენ, როგორც საკუთარი პოლიტიკის, მისი, ხელმძღვანელის აზრით, ერთადერთი სწორი გადაწყვეტილების განხორციელების ობიექტს, და არას დაგიდევენ, თუ აზრი მათი, ქმედება მათი სცილდება კომუნისტური პარტიის პოლიტიკასა და პარტიულ კანონს: „ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის“.

ახეთები არ ივიწყებენ ხალხისაგან მინიჭებული ძალაუფლების გამოყენებას, მაგრამ ყოველთვის რიდი ახსოვთ, რომ საბჭოთა ადამიანს — შრომის ტნუფნიასტსა და უდალატო მებრძოლს — მოქალაქეობრივ, საზოგადოებრივ მოვალეობებთან ერთად აქვს პირადი ცხოვრება, პირადი და საოჯახო მოთხოვნილებანი, რომელთა სარეალიზაციოდ მას სჭირდება საქალაქო თუ სასოფლო ტრანსპორტი, წყალსადენი და წყალზე ხიდი, გათბობა და სადალაქო, კულტურული საგრობა და ნავაჭრი ქსოვილით ტანსაცმლის შეკერვა, რომ, შეიძლება, ტელეფონიც დასჭირდეს ექიმის გამოსაძახებლად.

და კიდევ, შინ მშვიდი ძილი უნდა და ქუჩაში — ხულიგნისაგან, გარეწარისაგან დაცვა.

ეს ყოველივე ქმნის ნორმალური ყოფა-ცხოვრების მინიმუმს. პარტია კი მოითხოვს, რომ ხელმძღვანელი კადრები შეიარაღდნენ ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევის „ყამირში“ მოცემული საოცარი, ფილოსოფიურად ამაღლებული განსაზღვრებით — „ადამიანის ხელნერების დაგეგმვის სტრატეგიითა და ტაქტიკით“.

აი, სწორედ ის გარემოება, რომ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არ არის საქმე ასე დაყენებული, განაპირობებს მკითხველთა უკმაყოფილების ამსახველი წერილებისა და საჩივრების სიმრავლეს.

ნიშანდობლივია, მაგალითად, რომ გასულ, 1978 წელს რედაქციაში შემოსული წერილების 25 პროცენტი ამ ხასიათისაა. პროცენტების მიღმა კი 10.000 განაწყენებული ადამიანია.

აი, სწორედ ამიტომ ითქვა თბილისის საქალაქო პარტიული კონფერენციის ტრიბუნიდან, შშვიდად როგორ უნდა ეძინოთ ხელმძღვანელებს, როცა დედაქალაქში უწესრიგობაა. ხოლო გუშინ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XV პლენუმზე ამხ. ე. შევარდნაძემ ამ სიტყვებით გამოხატა ხალხის გულისწყრომა იმ უწესრიგობათა გამო, რომელთა მოგვარება ჩვენს ხელშია, საჭიროა მხოლოდ მონდომება. მოვალეობის გრძნობის გამძაფრება, შრომაში უზენაესი პატიოსნება.

ზოგჯერ მოსახლეობისათვის ხორცის მიწოდების სიძნელეებს ხალხი თმენს, რადგან იცის მათი გამომწვევი მიზეზებიო, — თქვა მან. — აკი ამის გამო საჩივრებიც კი არ მიუღია ცენტრალურ კომიტეტს. მაგრამ რა ვუთხრათ ხალხს, როცა მძღოლები გვყავს, ავტობუსებიცა და ტროლეიბუსებიც გვაქვს, ბენზინიც არ გვაკლია და ტრანსპორტი მაინც გამართულად არ მუშაობსო?

მკაცრი, მაგრამ სამართლიანი მოთხოვნების დროა!

დღე უნდა თენდებოდეს და ღამდებოდეს ადამიანზე ფიქრში, ადამიანზე ზრუნვით!

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

23 იანვარს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XV პლენუმი.

პლენუმმა განიხილა საკითხი „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და სამდივნოს 1978 წლის მუშაობის შესახებ“. მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. **გ. ვ. კოლბინმა.**

პლენუმმა მოისმინა ინფორმაცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ. ინფორმაციით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ამხ. **ს. ე. ხაბეიშვილი.**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმის დადგენილების შესასრულებლად რესპუბლიკის სამინისტრაციული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ ინფორმაცია გააკეთეს საქართველოს სსრ პროკურორმა ამხ. **ა. მ. ბარაბაძემ,** საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა ამხ. **კ. ე. კეთილაძემ,** საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა ამხ. **ა. ა. შუშანაშვილმა** და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ამხ. **ა. გ. კარანაძემ.**

პლენუმზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. **პ. გ. გილაშვილი,** საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **ბ. ვ. ადლეიბა,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ზ. ა. პატარაია,** საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **ვ. რ. პაპუნიძე,** საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **ფ. ს. სანაკოევი,** საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **ნ. დ. რუხაძე,** საქართველოს კომპარტიის გორის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **ბ. ზ. მაყაშვილი,** საქართველოს კომპარტიის ლენტეხის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. **გ. ი. გუნავა,** თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ხარატი ამხ. **დ. ნ. მოსესოვი,** საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. **ნ. შ. ენდელაძე,** საქართველოს სსრ საავტომობილო გზების მინისტრი ამხ. **გ. ვ. რობიტაშვილი,** საქართველოს კომპარტიის ახალქალაქის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. **გ. ს. შუღაროვი,** საქართველოს კომპარტიის ახალციხის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. **მ. მ. ქაჯაია,** საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. **ა. ვ. კობაიძე.**

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ე. ა. შევარდნაძემ.**

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პენსიაზე გასვლის გამო პლენუმმა ამხ. **შ. დ. კიკნაძე** გაათავისუფლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრის მოვალეობისაგან.

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატობიდან ბიუროს წევრებად გადაიყვანა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. **ნ. ა. ჭითანავა,** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ამხ. **ს. ე. ხაბეიშვილი** და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **ო. ე. ჩერქეზია.**

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატებად აირჩია საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **ბ. ვ. ადლეიბა,** საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **ვ. რ. პაპუნიძე** და საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **ფ. ს. სანაკოევი.**

პენსიაზე გასვლის გამო პლენუმმა ამხ. **დ. ვ. მჭედლიშვილი** გაათავისუფლა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის მოვალეობისაგან.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორად პლენუმმა დაამტკიცა ამხ. **გ. ვ. ბედინეიშვილი** და გაათავისუფლა იგი წინათ დაკავებული თანამდებობიდან.

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ დაამტკიცა ამხ. **ვ. ი. ქარუმიძე.** (საქინფორმი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

მოსკოვში, კავშირების სახლში, 23 იანვარს ა. ი. შიბაევის თავმჯდომარეობით გაიმართა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მორიგი სხდომა, რომელმაც განიხილა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები.

არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ მოხსენებები გააკეთეს უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ხ. მ. პულატოვამ, თათრეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. გ. ბატიევმა, კუიბიშევის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ე. თ. მურავიოვმა. მოსკოვსა და ლენინგრადში, საბჭოთა არმიისა და ფლოტის ნაწილებსა და ქვეგანაყოფებში მიმდინარე მუშაობაზე ილაპარაკეს კომისიის წევრებმა — სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა ვ. ნ. მაკეევმა, სკკპ ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. თ. სოლოვიოვმა, აგრეთვე საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსის მოადგილემ მ. გ. ხობოლევმა.

განხილვაში მონაწილეობდნენ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ზ. ნ. კრუგლოვა, კომისიის მდივანი ი. ვ. კაპიტონოვი, კომისიის წევრები ე. გ. გაფურუანოვი და ე. ვ. შაკოვა.

ორატორებმა აღნიშნეს, რომ საარჩევნო კამპანია ყველგან მიმდინარეობს საბჭოთა ადამიანების მაღალი პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის ვითარებაში, პარტიის XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისისა და ნოემბრის პლენუმების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეათე სესიის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ნიშნით. შრომელებმა დიდი კმაყოფილებით აღიქვეს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1978 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგები, რომლებიც მოწმობს ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის შემდგომ ზრდას, ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებას. საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივები, რომლებიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახვედრად ეშზადებიან, კისრულობენ მაღალ სოციალისტურ ვალდებულებებსა და იღებენ შემხვედრ გეგმებს, აღნიშნეს 1979 წლისა და მთელი ხუთწლედის დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების ახალ რეზერვებს.

სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასასახელებლად ქვეყანაში მიმდინარე კრებები და საოლქო წინასაარჩევნო თათბირები სოციალისტური დემოკრატიის ნამდვილ ზეიმად გადაიქცა და კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის ურყევი ერთიანობას ცხადყოფს. ისინი მოწმობს, რომ მშრომელები განუყოფლად უჭერენ მხარს და იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას, რომ საბჭოთა ხალხი მჭიდროდ არის შეკავშირებული კომუნისტური პარტიის, ცენტრალური კომიტეტის, პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გარშემო.

საბჭოთა ადამიანებმა დიდი ერთსულოვნებითა და ენთუზიაზმით დაასახელეს თავიანთ პირველ დეპუტატობის კანდიდატად კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე, მშვიდობისა და კომუნიზმის საქმისათვის მეზნებარე მებრძოლი, დიდი ლენინის საქმის ერთგული და მტკიცე გამგრძელებელი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხანაგი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატთა შორის არიან დასახელებული აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები, ცენტრალური კომიტეტის მდივნები, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს სხვა ხელმძღვანელები. დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებული არიან ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, რომლებმაც თვიანთი თავდადებული შრომით კოლექტივებში აღიარება და საყოველთაო პატივისცემა დაიმსახურეს.

სხდომაზე აღინიშნა, რომ არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებული ყველა ღონისძიება ხორციელდება ორგანიზებულად, დადგენილ ვადებში და სსრ კავშირის კონსტიტუციისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონის შესაბამისად.

კომისიამ განიხილა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მ. პ. გიორგაძის ინფორმაცია მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკებისაგან, ავტონომიური ოლქებისა და ავტონომიური ოკრუგებისაგან ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო კომისიების, კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების, საუბნო საარჩევნო კომისიების შექმნისა და შემადგენლობის შესახებ.

არჩევნების შესახებ კანონის შესაბამისად შეიქმნა და მუშაობას შეუდგა 174.547 საარჩევნო კომისია, რომლებშიც შედის შრომითი კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების 1.661.406 წარმომადგენელი. სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან შედარებით საარჩევნო კომისიების შემადგენლობა 228 ათასით გაიზარდა. ამით პრაქტიკულად გამოიხატება არჩევნების შესახებ კანონის დებულებანი, რომლებიც ეხება კომისიებში მშრომელთა წარმომადგენლობის გაფართოებას, რამაც კიდევ უფრო განამტკიცა არჩევნების დემოკრატიული საფუძველი.

საარჩევნო კომისიებში წარმოდგენილია ჩვენი საზოგადოების ყველა ფენა და სოციალური ჯგუფი. კომისიათა წევრებს შორის 50 პროცენტზე მეტს მუშები და კოლმეურნეები შეადგენენ. კომისიებში 48 პროცენტზე მეტი ქალია, 34 პროცენტს 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდობა შეადგენს, 55 პროცენტი უპარტიოა. 65.386 კომისიის თავმჯდომარეები მუშები და კოლმეურნეები არიან.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მოისმინა სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის მინისტრის ტ. ბ. გუყენკოს, სსრ კავშირის გეოლოგიის მინისტრის ე. ა. კოზლოვსკის, სსრ კავშირის თევზის მეურნეობის მინისტრის მოადგილის ნ. პ. კუდრიავცევის, სსრ კავშირის ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიის წევრის ე. ი. ტოლსტიკოვის ინფორმაციები იმის შესახებ, თუ როგორ ემზადებიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის საზღვაო, თევზსაჭერი, საექსპედიციო ფლოტების გემებზე, აგრეთვე პოლარულ და ჰიდრომეტეოროლოგიურ სადგურებში, სამეცნიერო ექსპედიციებში, გეოლოგიურ და საძიებო პარტიებში.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ცნობად მიიღო კომისიის სამდივნოს გამგის ფ. ნ. ნიკიტინის ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მთელი საჭირო საარჩევნო დოკუმენტაცია დროზე გაეგზავნა ყველა საოლქო საარჩევნო კომისიას.

სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა არჩევნებისათვის მზადების დროს კვლავაც განსაზღვრულად დაიცვან სსრ კავშირის კონსტიტუცია და არჩევნების კანონი, დროზე განახორციელონ არჩევნებთან დაკავშირებული ყველა ღონისძიება. განსაზღვრა კომისიის მორიგი ამოცანები საარჩევნო კამპანიის მომდევნო ეტაპისათვის.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ მთელი რიგი ცენტრალური ორგანიზაციების, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, საბჭოთა საზოგადოებრიობის, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლები. (საკდენი).

მეცხოველეობას — მთელი გულისყური!

მეცხოველენი ახალი ამოცანების წინაშე

ახალ სასოფლო-სამეურნეო წელს ყველაზე ძნელი სტარტი, უნდა ითქვას, ფერმების მშრომელებს აქვთ. ახლა ისინი მთელ ძალ-ღონეს ახმარენ „ვიწრო ადგილების“ დაძლევას, მეცხოველეობის პროდუქტებით მოსახლეობის შეუფერხებელი მომარაგებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლას.

პარტია და მთავრობა უდიდეს ყურადღებას უთმობენ დარგის განვითარებას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის გადაწყვეტილებების შესაბამისად, რესპუბლიკაში უკანასკნელი დროის მანძილზე საექსპლოატაციოდ გადაეცა მეხორცეობისა და მერძევეობის მომართულების მსხვილი მეცხოველეობის კომპლექსები, ხორციელდება საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების ღონისძიებანი. პირად საკარმიდამო მეურნეობებში პირუტყვის მოვლა-შენახვაში ყოველნაირი დახმარება ეწევა კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ხორცისა და რძის წარმოების ხარისხობრივი მაჩვენებლები, გაიზარდა სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელი პირუტყვის საშუალო წონა, ხოლო საშუალო ნაკვებობაზე ნაკლები პირუტყვის რიცხვი შემცირდა.

მაგრამ ამ ძვრების მიუხედავად, რესპუბლიკაში ჯერ კიდევ იგრძნობა მეცხოველეობის პროდუქტების ნაკლებობა. ეს გარკვეულწილად იმით აიხსნება, რომ ყველა მეურნეობა ვერ ასრულებს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქციის ჩაბარების გეგმებსა და დავალებებს, სათანადოდ არ ზრუნავს მისი წარმოების ზრდისათვის. ხორცსა და რძეზე მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება კვლავიდებურად არის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ამოცანა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ამ პროდუქტებით ქალაქების, კურორტების, სამრეწველო ცენტრების რიტმულ მომარაგებას. ამასთან დაკავშირებით შემუშავებულია ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს საწარმოებისათვის საკლავი პირუტყვის რიტმული მიწოდების გრაფიკები. ეს მეცხოველეებს ავალებს მიაღწიონ მაღალ საშუალო-სადღეღამისო წონა-მატებას.

უაღრესად საჭიროა დავიცვათ გადასამუშავებელი საწარმოებისათვის პროდუქციის მიწოდების გრაფიკები. რაიონების პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებმა კონტროლი უნდა გაუწიონ გრაფიკების დაცვას, განახორციელონ ღონისძიებანი, რათა სუქებიდან პირუტყვი გამოიყვანონ პატარ-პატარა პარტიებად კონდიციური წონის მიღწევის კვალობაზე. (საქინფორმი).

ქვემოთ ქვეყნდება საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის საკავშირო სამინისტროს საწარმოებში 1979 წლისათვის პირუტყვის ჩაბარების გეგმა და დავალება:

რაიონები	წლიური გეგმა	კვარტალის გეგმა	პირველი კვარტალის გეგმიდან გამომდინარე დავალება		
			იანვარი	თებერვალი	მარტი
ახალქალაქის	5156,8	1136,3	280	254	602,3
ბოგდანოვკის	4759,8	689,3	167	152	370,3
ახალციხის	2300	413,0	104	94	215
ადიგენის	1459	339,0	85	77	174
ასპინძის	1231	163,0	41	36	86
ხაშურის	1327,3	230,3	58	53	122
ქარელის	1308,3	354,3	89	81	185,3
გორის	2230	558,0	140	126	292
კასპის	1415	297,0	78	70	149
ბორჯომის	1705	340,0	85	77	178
საგარეჯოს	3619	659,0	176	158	325
გურჯაანის	2499	607,0	153	139	315
სიღნაღის	3404	792,0	199	181	412
წითელწყაროს	5757	933,0	242	222	469
თელავის	1436	309,0	79	72	158
ახმეტის	2148	277,0	74	65	138
ყვარლის	1301	418,0	105	95	218
ლაგოდეხის	1580	471,0	94	85	192
გარდაბნის	3682	719,0	183	166	370
მცხეთის	895	267,0	68	62	137
მარნეულის	1922,5	504,5	128	115	261,5
ბოლნისის	1373,7	338,7	84	76	172,7
წალკის	2940	100,0	172	156	372
დუშეთის	4441	288,0	71	65	152
თეთრიწყაროს	2442	318,0	82	75	161
დმანისის	1971	430,0	103	94	233
თიანეთის	2265	288,0	75	67	141
ყაზბეგის	1688	50,0		14	36
სამხრეთ ოსეთის ა/ოლქი	4939	572,0	145	130	297
ქ. წყალტუბოს ზონის	1498	371,0	96	86	189
სამტრედიის	1968	477,0	125	114	238
წულუკიძის	894	221,0	57	51	113
ვანის	878,3	323,3	82	72	169,3
მაიაკოვსკის	571	60,0	14	13	33
ზესტაფონის	865	209,0	53	48	108
თერჯოლის	1084	267,0	68	61	138
ქ. ჭიათურის ზონის	1115	215,0	54	50	14
საჩხერის	943	235,0	60	54	121
ორჯონიკიძის	861	160,0	41	37	82
ქ. ტყიბულის ზონის	1067	272,0	70	63	139
ონის	593	113,0	28	25	60
ამბროლაურის	628	163,0	39	36	88
ცაგერის	613	84,0	21	19	44
ლენტეხის	413	37,0	8	7	22
აბაშის	1986	472,0	119	108	245
ცხაკაიას	2042	425,0	111	99	215
გეგეჭკორის	1334	386,0	98	89	199
ზუგდიდის	2338	671,0	170	153	348
ხობის	2606	540,0	143	127	270
წალენჯიხის	794	244,0	63	56	125
ჩხოროწყუს	1068	268,0	71	62	135
მახარაძის	1200	437,0	110	100	227
ლანჩხუთის	1296,3	324,3	81	74	169,3
ჩოხატაურის	547	116,0	28	25	63
მესტიის	274	55,0	5	4	46
აფხაზეთის ასსრ	9561	1835,0	474	440	921
აჭარის ასსრ	3048	463,0	114	104	245
ქ. ფოთი	300	60,0	16	15	29
ქ. ქუთაისი	400	115,0	33	28	54
ცალენჯირი	400	135,0	38	33	64
სულ	116380	23110	5850	5310	11950

მეგობრობის დღესასწაული

23 იანვარს მოსკოვში კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიხსნა კუბის რესპუბლიკის კულტურის დღეები. საზეიმო საღამოს პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები ა. პ. კირილენკო, პ. ნ. დემიჩევი, ი. ვ. კაპიტონოვი, მ. ვ. ზიმიანინი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სსრ კავშირის კულტურის მინისტრმა პ. ნ. დემიჩევმა მხურვალედ მიულოცა სტუმრებს კუბის კულტურის დღეების გახსნა.

საპასუხო სიტყვით გამოვი

გაანვაესორციელოთ სკკკ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებები!

სპეციალისტი — სოფლის მეურნეობაში

ეს საღღეისო ამოცანაა

სკკკ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმზე სკკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ განვითარების ის დონე, რომელსაც სოფლის მეურნეობამ მიაღწია, და მით უმეტეს, ის დონე, რომელსაც მომავალ წლებში მიაღწევს, მოითხოვს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციისა და მართვის გაუმჯობესებას. მართვის სუბიექტი და ობიექტი კი არიან ადამიანები — ჩვენი კადრები, რომელთა საჭიროება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შესაბამისად სულ უფრო იზრდება.

სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული კადრების, განსაკუთრებით სპეციალისტთა და მექანიზატორთა კადრების მომზადებასთან. განვლილ პერიოდში ამ მიმართულებით რესპუბლიკაში დიდი მუშაობა გასწიეს და მომავალშიც ბევრია გასაკეთებელი.

„მართო „კაბინეტური“ ხელმძღვანელობა არ კმარა, ყოველდღიური. ცოცხალი ურთიერთობა უნდა გვქონდეს ხალხთან, უნდა ჩავდიოდეთ ადგილებზე, საკუთარი თვალით ვნახოთ წარმატებანიც, წამოჭრილი სიძნელეებიც და, როცა საჭიროა, ოპერატიულად ჩავეროთ. როცა... ხალხს გიპპაქრები, ტრაქტორისტებთან ერთად ჩამოჯდები ბრიგადის ქვაბთან, ძალზე ბევრ რამეს გიგებ და ბევრ რამეს ისწავლი. სწავლა კი ყოველთვის სასარგებლოა...“ წერს ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი თავის ახალ ნაშრომში „ყამირი“.

სოფლის მეურნეობის სპეციალისტი დღეს — ეს არის ადამიანი, რომელიც კარგად არის დაუფლებული მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების საფუძვლებს, ნათლად ხედავს პარტიის და ქვეყნის პოლიტიკურ მიზნებს, აქვს ფართო მეცნიერული და პრაქტიკული მომზადება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმზე ითქვა — სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის დარგის მართვის სრულყოფის, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მაღალ განვითარებულ სექტორად მისი გადაქცევის საკითხთა გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელმძღვანელებსა და სპეციალისტებს, კერძოდ, საშუალო რგოლის კადრებს. ამასთან დაკავშირებით ყოველდ შეუწყნარებელია, რომ ჩვენში ამჟამად კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეურნეობათშორისო საწარმოების 14 ათასი განყოფილებიდან, ბრიგადიდან, ფერმიდან 6.200-ზე მეტს მეთაურობენ პრაქტიკოსები.

სოფლის მეურნეობის სპეციალისტების, უმაღლესი, საშუალო და ძირეული რგოლის ხელმძღვანელების კვალიფიკაციის ამაღლება მხოლოდ უმაღლეს და სპეციალურ საშუალო ტექნიკურ სასწავლებელთან არსებულ კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტებზე და ისიც ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ სრულებითაც ვერ უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის დარგში დასახული ამოცანების გადაწყვეტის დაჩქარებას. განვითარების ახლანდელი ტემპის პირობებში ის, რაც ახალია დღეს, შეიძლება სრულიად ძველი აღმოჩნდეს ხვალ, ამიტომ სპეციალისტებისათვის, საშუალო ძირეული რგოლის ხელმძღვანელებისა და მასობრივი კვალიფიკაციის კადრებისათვის, საჭიროა უშუალოდ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, რაიონებში მოეწყოს კვალიფიკაციის ამაღლება, მათი გადამზადება და ამ პროცესს სისტემატური ხასიათი ჰქონდეს.

ამ მიზნით უნდა გამოვიყენოთ უმაღლესი და საშუალო-სპეციალური სასწავლებლები, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები, მართვისა და მოწინავე გამოცდილების რაიონული სკოლები, მუდმივმოქმედი სემინარები, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კაბინეტები, სახლები, სახალხო უნივერსიტეტები, ახალგაზრდა სპეციალისტთა სტაჟირების სკოლები და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების სხვა ფორმები.

ამ საქმეში ერთგვარი გამოცდილება დაგროვა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა.

ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსა და რექტორატის ინიციატივით, რომელსაც მხარი დაუჭირეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს კომპარტიის მცხეთის რაიკომმა და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომმა, პირველად ჩვენს რესპუბლიკაში მცხეთის სოფლის მეურნეობის საქმართველოსთან შეიქმნა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კაბინეტი, კაბინეტისათვის შედგენილია მწყობრი მუშაობის გეგმა, ჩამოყალიბდა მეთოდიკური, საატესტაციო და სხვა კომისიები.

დამუშავდა და ფართო ტირაჟით გამოიცა მეთოდიკური მითითება სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში მომუშავე უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების ქსელის მოწყობის შესახებ, რომლის შესაბამისად დაკომპლექტდა აგრონომიული, საინჟინრო-ტექნიკური, ზოოვეტერინარული და ეკონომიკური დარგის სამსახურის სპეციალისტებისათვის მუდმივმოქმედი სემინარები. შედგენილია 36 აკადემიურსაათიანი სანიმუშო თემატიკები და პროგრამები სოფლის მეურნეობაში მეცნიერების უახლეს მიღწევათა გათვალისწინებით ნაყოფიერად იმუშავეს მუხრანის სასწავლო-საცდელ მეურნეობასთან არსებულმა აგრონომიულმა, მცხეთის სოფლტექნიკასთან — საინჟინრო-ტექნიკურმა და საგურამოს ერთწლიან საბუღალტრო სკოლასთან — ეკონომიკურმა მუდმივმოქმედმა სემინარებმა.

სემინარებზე ლექციებს კითხულობდნენ პროფესორები ვ. მეტრეველი, შ. ჭანიშვილი, ს. ქარუმიძე, გ. ქეშელაშვილი, ი. ანჯაფარიძე, გ. ბადრიშვილი, გ. აბესაძე, ა. მახარაძე, კ. მირიტაძე, მ. გუგუშვილი, დოცენტები: ლ. კოპალიანი, ი. თუშიშვილი, მ. ჭელიძე, ს. თავდიშვილი, კ. ქემოკლიძე და სხვები.

როგორც შედეგები მოწმობს, მუდმივმოქმედი სემინარების მუშაობამ კარგი ნაყოფი გამოიღო და გათვალისწინებულია მათი მუშაობა კვლავაც გაგრძელდეს, ამასთან სკკკ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმის დადგენილებისა და ამ პლენუმზე „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ“ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების პასუხად, ინსტიტუტის კოლექტივმა გადაწყვიტა როსტოველთა გამოცდილების შესაბამისად ამავე რაიონში 1979 წელს საშუალო და ძირეული რგოლის ხელმძღვანელების, ტრაქტორისტების, მექანიზაციისა და კომბაინერების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის მოაწყოს ოთხი სკოლა და უზრუნველყოს მათი შეუფერხებელი მუშაობა.

უფრო შინაარსიანი გავხადოთ მეცნიერულ-კვლევითი და საშუფო მუშაობა — ასეთია სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მრავალრიცხოვანი კოლექტივის სადღეისო ამოცანა.

ა. ნარჩომაშვილი,
დოცენტი.

მუშათა კლასს — ღირსეული შევსება

საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის მუშაკთა რესპუბლიკური სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციის მონაწილეებმა განიხილეს მუშათა კლასის მომავალი ცვლის აღზრდისა და სწავლების საარსებო საკითხები. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მეცნიერები, წარმოების მოწინავენი.

ორი დღის განმავლობაში პლენარულ და სექციურ სხდომებზე მიმდინარეობდა დიდი სჯა-ბაასი სკკკ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების, „პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის პროცესის შემდგომი სრულყოფის შესახებ“ სკკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყველა დარგისათვის კვალიფიციური მუშათა კადრების მომზადების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების გზების თაობაზე.

რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია მუშათა კლასის ღირსეული ცვლის მომზადებაში და ერთერთ საუკეთესო ადგილზეა ქვეყანაში. მაგრამ მეათე ხუთწლედის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის პროფესიულ-ტექნიკური განათლების მუშაკებმა ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გააკეთონ. უნდა მოამზადონ 120 ათასზე მეტი ახალგაზრდა წარმოების მუშაკი. ახლა მარტო რესპუბლიკის სასწავლებლების პირველ კურსებზე ცოდნასა და პროფესიულ ჩვევებს ეუფლება 36 ათასზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი. ამასთან ყოველი მეოთხე პირველკურსელი სოფლის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში სწავლობს.

დღეს საქართველოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემა წარმატებით წყვეტს სკკკ XXV ყრილობის მიერ დასახულ ამოცანას — თვისებრივად ახალ საფეხურზე გადასვლის — საშუალო განათლების მქონე კვალიფიციურ მუშათა მომზადების ამოცანას. იგი უკვე წელს უნდა დამთავრდეს.

მომავალ მუშათა სწავლების ხარისხის, შრომითი აღზრდის გაუმჯობესებისათვის, ხაზგასმით აღინიშნა კონფერენციაზე, საჭიროა შემდგომშიც განმტკიცდეს სსრ-მოო სწავლების მასწავლებელთა და ოსტატთა კადრები გამოცდილი სპეციალისტებით. შემდგომ გაუმჯობესებას მოითხოვს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. უნდა გაძლიერდეს ბრძოლა მოსწავლეთა აკადემიური წარმატების, პროფესიული მომზადების ამაღლებისათვის.

მთავარი ყურადღება უნდა დაეთმოს სასწავლო პროცესის შემდგომ სრულყოფას, მომავალ მუშათა სწავლებისა და აღზრდის მოწინავე პედაგოგიური და სამეცნიერო მეთოდების დანერგვას. საზოგადოებრივი დისციპლინების სწავლება უფრო მჭიდროდ უნდა დაუკავშიროთ კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას, უფრო აქტიურად ჩაეუნერგოთ მოსწავლეებს მაღალი იდეურ-პოლიტიკური და ზნეობრივი თვისებები, სიყვარული პროფესიისადმი, მისწრაფება პატიოსნად და კეთილსინდისიერად იშრომონ სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ახალგაზრდა მუშებისათვის უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს, აღინიშნეს ორატორებმა, სკკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური - მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის ნაშრომებს „მცირე მიწას“, „აღორძინებასა“ და „ყამირს“. ისინი გვასწავლიან ლენინურად ცხოვრებასა და მუშაობას, გვასწავლიან სმტკიცეს, ვაჟკაცობას, ნამდვილ პარტიულ პრინციპულობასა და ინტერნაციონალიზმის მაღალ გრძნობას. ისინი გვეხმარებიან მოსწავლე ახალგაზრდობა აღზრდოთ პატრიოტიზმის, პარტიისადმი, სამშობლოსადმი ერთგულების სულისკვეთებით.

კონფერენციაზე მოხსენებანი გაკეთეს საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვ. ოსეიჩუკმა, სამეცნიერო-პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარემ, დოცენტმა ი. ჟღენტმა, რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდიკური კაბინეტის დირექტორმა გ. გოდერძიშვილმა და სხვებმა.

კონფერენციის მუშაობის შედეგები შეჯამა საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ს. რიგვავამ. (საინფორმი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1979 წლის 22 იანვრის ბრძანებულებით „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 99-ე მუხლის შესაბამისად ქ. თბილისის საქარხნო რაიონის „საქმიდროენერგომშენის“ № 67, წითელწყაროს რაიონის წითელწყაროს № 182, კახეთის რაიონის ახალქალაქის № 88 და ლაგოდეხის რაიონის ლაგოდეხის № 184 საარჩევნო ოლქებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნები დაინიშნა კვირას, 1979 წლის 4 მარტს.

„პარტიული სიტყვა“ № 2

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალის „პარტიული სიტყვის“ მეორე ნომერი.

ჟურნალის ახალი ნომერი იხსნება მოწონიანე წერილით „არჩევნები და საგზაგაცო-მასობრივი მუშაობა“; აქვეა დაბეჭდილი მასალები — „ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს — ფართო პროპაგანდა (მეთოდური დამუშავება)“, „ჩვენი რესპუბლიკა 1979 წელს“, „კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“.

რუბრიკით „სკკკ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში“, ჟურნალში გამოქვეყნებულია ო. ვაშაკიძის წერილი „გავზარდოთ ფონდუკუგება სოფლის მეურნეობაში“.

განყოფილებაში „ავამაღლოთ პოლიტიკური აგიტაციის როლი სკკკ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში“ დაბეჭდილია კ. დოლიძის სტატია „დავძლიოთ საგზაგაცო-მასობრივ მუშაობაში ფორმალიზმის ყოველგვარი გამოვლინება“.

საერთაშორისო ცხოვრება

კაცმოგრიოგის ინტერესებისათვის

ვაშინგტონი, 29 იანვარი. (საკდესი). სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ ფ. ჩერჩმა აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი კაცობრიობის მომავლისათვის შეთანხმებას სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ. ტელევიზიით გამოსვლისას მან განაცხადა, რომ გამალებული ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის ამოცანას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება და სხვა დანარჩენ მიზნებზე უფრო დიდმნიშვნელოვანი და აქტუალურია.

შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს კოლოსალური ბირთვული პოტენციალები აქვთ, რომელთა სიმძლავრე კვლავ მატულობს, თქვა სენატორმა. თუ გამალებულ შეიარაღებას კონტროლი არ დაუწესდება, სულ უფრო გაიზრდება ბირთვული ომის საფრთხე.

ფ. ჩერჩმა გადაჭრით გააკრიტიკა ამერიკის შეერთებული შტატების გარკვეული წრეების ცდები სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების შეთანხმების დადება დაუკავშიროს სხვა საკითხებს, რომლებსაც ამ შეთანხმებასთან არავითარი კავშირი არა აქვთ. ამგვარი ცდები, თქვა მან, მხოლოდ შეაფერხებენ გამალებული ბირთვული შეიარაღების შეზღუდვისათვის საბჭოთა კავშირ-ამერიკის ღონისძიებათა პროგრესს. შეერთებული შტატების, საბჭოთა კავშირისა და მთელი კაცობრიობის ინტერესების საზრისით.

პროტესტები თვითნებობის წინააღმდეგ

პარიზი, 22 იანვარი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი პეკინდან იუწყება, რომ კვირას იქ გაიმართა მშრომელთა ახალი დემონსტრაცია, რომლებიც პროტესტს აცხადებენ ხელისუფალთა თვითნებობის გამო და მოითხოვდნენ ჩინეთში ადამიანის ძირითადი უფლებების უზრუნველყოფას.

გამბოროტებული ღატაკი გლეხები, წერს კორესპონდენტი, შეიკრიბნენ ჯუნანხაის რაიონში — ჩინეთის ხელმძღვანელობის რეზიდენციასთან, რათა საჩივარი შეეტანათ უმაღლეს ინსტანციაში. ჩვენ მოკლებული ვართ ადამიანურად ცხოვრების შესაძლებლობას და ვერა და ვერ მიგვიღწევია ვერაფრისათვის, განაცხადა დემონსტრაციის ერთ-ერთმა მონაწილემ, რომელიც შიდა მონღოლეთიდან ჩამოვიდა.

პეკინის ძირგამომთხრელი საქმიანობა

დელი, 22 იანვარი. (საკდესი). ინდოეთის საზოგადოებრიობაში ცნობილი გახდა ახალი მონაცემები ჩინეთის ფართო ძირგამომთხრელი საქმიანობის შესახებ ინდოეთისა და აზიის სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ. როგორც გაზეთი „პატრიოტი“ იუწყება, ჩინეთის სპეცსამსახურებმა შეიმუშავეს ოპერაცია, რომლის მიზანია სამხრეთ და სამხრეთაღმოსავლეთ აზიაში შექმნან ეგრეთწოდებული „კორიდორი“, რომელსაც გამოიყენებენ პლაცდარმად აქ მდებარე სახელმწიფოების შინაურ საქმეებში ჩარევისათვის. ამასთან მთავარი ყურადღება ეთმობა ჩინური წარმოშობის იმ პირთა გამოყენებას, რომლებიც ამ ქვეყნების ტერიტორიაზე ცხოვრობენ.

ამჟამად ტაილანდში ითვლება ხუთ მილიონამდე ეთნიკური ჩინელი. სწორედ ამიტომ პეკინელმა პოლიტიკანებმა ეს ქვეყანა აირჩიეს გათვალისწინებულ „კორიდორში“ შესასვლელ „კარად“.

ბირმაში მცხოვრებ ჩინელთა რიცხვი ნახევარ მილიონს აღწევს. ამ ბოლო თვეებში აქ მკვეთრად გაეტიურდა არალეგალურ პროპეკინურ დაჯგუფებათა ძირგამომთხრელი საქმიანობა, ხოლო ნაგას ტომის სეპარატისტთა დიდმა ჯგუფმა სამხედრო მომზადება გაიარა ჩინეთის სპეციალურ სადივერსიო სკოლებში, აღინიშნავს „პეტრიოტი“.

პეკინის განზრახვით, „კორიდორი“ ტაილანდიდან ბირმის გავლით ინდოეთის მანიპურისა და ნაგალენდის შტატებამდე მივა, ხოლო შემდეგ, ასამის შტატისა და მეზობელი ტერიტორიის გავლით შეუერთდება ტიბეტს. ამასთან დაკავშირებით, ხაზს უსვამს „პეტრიოტი“, აშკარა ხდება, რომ ჩინეთში გაწვრთნილი ნაგას სეპარატისტების ბანდიტური თავდასხმები მშვიდობიან მცხოვრებლებზე ასამში ერთიანი გეგმის შემადგენელი ნაწილია.

„პეტრიოტი“ გადაჭრით ვმობს ჩინეთის სამშრ ზრახვებს და ხაზს უსვამს რომ პეკინი, რომელიც სიტყვით ესწრაფვის ინდოეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციას, სინამდვილეში არა მარტო ინარჩუნებს მის მიერ ამ ქვეყნის ოკუპირებულ ტერიტორიას, არამედ ფართო ძირგამომთხრელ საქმიანობასაც ეწევა მის წინააღმდეგ.

ე. იანგის განცხადება

ნიუ-იორკი, 22 იანვარი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივმა წარმომადგენელმა ე. იანგმა გაზეთ „ინტერპენდენტისადმი“ ინტერვიუში გააკრიტიკა ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის პოზიცია, რომელიც ჯერ-ჯერობით არ ცნობს პალესტინის არაბი ხალხის უფლებებსა და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციას, რომელიც, როგორც ცნობილია, ამ ხალხის ერთადერთი კანონიერი წარმომადგენელია.

პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია, თქვა ე. იანგმა, არა მარტო გამოხატავს პალესტინის არაბი ხალხის ინტერესებს, არამედ „უდიდესი გავლენითაც სარგებლობს“ სხვადასხვა არაბულ ქვეყნებში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. „ჩვენ ეს არ მოგვწონს და ამიტომაც არ ვაღიარებთ ამას“, — აღნიშნა მან. ასეთი პოზიცია ე. იანგმა დაახასიათა, როგორც დღევანდელ მსოფლიოში არსებულ რეალურ ვითარებასთან მოწყვეტა.

შეეხო რა ვაშინგტონის ამგვარი კურსის მიზეზებს, ე. იანგმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციას არ ცნობს, „შესაძლოა, ისრაელის გამო“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, შეერთებული შტატები ადმინისტრაციის მზად არის ფიანდაზი გაუფინოს ტელ-ავივის რეჟიმს, რომელიც აბუჩად იგდებს პალესტინის არაბი ხალხის განუყოფელ უფლებებს.

ე. იანგმა აგრეთვე აღიარა, რომ არაბულმა სამყარომ გადაჭრით დაგმო კემპ-დევიდის გარიგება უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ ეს პირშეკვრა, როგორც მან თქვა, „ვერ უზრუნველყოფს პალესტინის არაბი ხალხის წარმომადგენლობასა და გარანტიებს, რომლებიც მას სჭირდება, რათა სჯეროდეს თავისი მომავლისა და იმედი ჰქონდეს, რომ მიაღწევს თვითგამორკვევის უფლების განხორციელებას“.

ბავშვის წლისათვის

კონაკრი, 23 იანვარი. (საკდესი). საბჭოთა დოკუმენტური ფილმით „შემოუერთდით ჩვენს შემოქმედებას“, რომელიც შეეხება მოზარი თაობის აღზრდას სსრ კავშირში, გვინეის ტელევიზიამ დაიწყო სერია გადაცემებისა, რომლებიც ეძღვნება ბავშვის საერთაშორისო წელს. ქვეყანაში მის ჩატარებასთან დაკავშირებით გადაწყდა დაარსდეს ბავშვთა ჯანმრთელობის ინსტიტუტი. ამ მოვლენას მიეძღვნება აგრეთვე გვინეის ქალთა ეროვნული დღისასწაულობა, გამოიცემა სპეციალური საფოსტო მარკა, გადაიღებენ ფილმს.

ზრდისა და განმტკიცების წლები

ეკონომიკური თანამშრომლობის მწვავე 30 წლისა

30 წლის წინათ გამოქვეყნდა ცნობა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს შექმნის შესახებ. ჩამოყალიბდა თანასწორუფლებიანი სოციალისტური სახელმწიფოების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია.

ამ წლების განმავლობაში სულ უფრო იზრდებოდა საბჭოს საერთაშორისო ავტორიტეტი, მტკიცდებოდა მისი კავშირი სხვა ქვეყნებთან, მათი სოციალური სისტემებისაგან დამოუკიდებლად.

დღეს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს კავშირი აქვს 60 საერთაშორისო ეკონომიკურ და სამეცნიერო-ტექნიკურ ორგანიზაციასთან. სოციალისტური თანამეგობრობის ათი ქვეყანა ამუშავებს მსოფლიო სამრეწველო პროდუქციის დაახლოებით ერთ მესამედს.



სურათებზე: ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს შენობა მოსკოვში (ზემოთ); ეკონომიკური ურთიერთდახმარების გამოთვლითს ცენტრში უნგრულ მანქანებზე მუშაობენ ბევრი სოციალისტური ქვეყნის წარმომადგენლები. ქვემოთ (მარცხნიდან) — ცენტრის დირექტორი მოადგილე გერდ ჰამერმანი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), ინჟინერ-პროგრამისტი ტატიანა გოლოვანოვა (სსრ კავშირი), ედი გუალი (კუბა), ტომაშ საბო (უნგრეთი).

ვ. ბუდანის ფოტო. (საკდესის ფოტო-ქრონიკა).

გამოიცა ლიგანში

ბეიროუთი, 22 იანვარი. (საკდესი). აქ გამოვიდა ახალი გამოცემა სკკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოგონებებისა — „მცირე მიწა“ და „აღორძინება“.

ამ წიგნზე, რომელიც გამომცემლობა „იბნ ქალდუნმა“ გამოუშვა არაბულ ენაზე, დიდი მოთხოვნაა ლიბანელებს შორის.

ლ. ი. ბრეჟნევი თავის წიგნებში ასახავს საბჭოთა ხალხის ბრძოლის ყველაზე მნიშვნელოვან და ძნელ პერიოდებს, ნათქვამია გამომცემლობის წინასიტყვაობაში. მოგონებებში თვალსაჩინოდ არის გაშუქებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის — საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვების ორგანიზატორის როლი.

„მცირე მიწაზე“ საბჭოთა ადამიანების გმირული ბრძოლა, ნათქვამია წინასიტყვაობაში, შორს სცდება იმ გეოგრაფიული რაიონის ფარგლებს, სადაც ბრძოლები მიმდინარეობდა. ეს ბრძოლა გასახიერებს საბჭოთა ხალხის სიმტკიცეს, მის მაღალ მორალურ და პარტიულ თვისებებს. ლ. ი. ბრეჟნევმა გასაგები და ცოცხალი ფორმით გააშუქა საბჭოთა კავშირის ეკონომიკური და სამხედრო გამარჯვებების ფაქტორები, რომლებიც ნიმუშად აქვთ მთელი მსოფლიოს მშვიდობის მებრძოლებს, კერძოდ, არაბებს.

სამართლიანი მოთხოვნა

ბონი, 22 იანვარი. (საკდესი). გერმანელთა კომპარტიის გამგეობის წარმომადგენელმა გააკეთა განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო „სახელმწიფო სამსახურში შესვლის მსურველთა კონსტიტუციისადმი ერთგულების შემოწმების პრინციპები“.

განცხადება შეიცავს მოთხოვნას მთლიანად გააუქმონ „პროფესიების აკრძალვა“ — პოლიტიკური დისკრიმინაცია, რომლის მსხვერპლი უკვე 4.000-ზე მეტი პროგრესული მოქალაქე გახდა.

საკდესი

ყურადღებიანი მკითხველისთვის

23 იანვარი

ბანგი. „დამთავრდა ქვეყნის მცირე ეროვნებათა ხალხური ხელოვნების პირველი ფესტივალი. იგი გაიმართა ვიეტნამის ცენტრალური პლატოს დარლაკის პროვინციაში. მხატვრული თვითმოქმედების ტალანტთა ამ დათვალიერებაში მონაწილეობა მიიღო 14 შემოქმედებითი კოლექტივის თითქმის 600 თვითმოქმედმა მსახიობმა. ფესტივალს დაესწრო ათიათასობით მაყურებელი. მათ ნახეს 150 სხვადასხვა ნომერი — ხალხური სიმღერები, ცეკვები, პატარ-პატარა სცენები, ფოლკლორული წეს-ჩვეულებები და წარმოდგენები, რომლებიც გადმოსცემენ ხალხური ხელოვნების უმდიდრესი საგანძურიდან.

პარიზი. მრავალათასიანი საპროტესტო დემონსტრაცია იმის წინააღმდეგ, რომ შერბური გადააქცეონ „ბირთვული ნარჩენების გადასაყრელ ადგილად“ გაიმართა საფრანგეთის ამ ნავსადგურში. დემონსტრანტებმა მოსთხოვეს ხელისუფლებს არ დაუშვან გადმოტვირთვა ინგლისის გემის „პასიფიკ ფიშერისა“, რომელმაც აქ იაპონიის ატომური ელექტროსადგურების 13 ტონა რადიოაქტიური ნარჩენები ჩამოიტანა ნავსადგურის მახლობლად მდებარე ბირთვული სათბობის გადამმუშავებელი ქარხნისათვის.

პოლიციამ, რომელიც გემისადგომს იცავდა, ძალა გამოიყენა დემონსტრაციის გასარეკად.

ოტავა. მე-4 თვეა არ მუშაობს კომპანია „ინკო სტილის“ ქარხნის 18 ათასი მუშა ქალაქ სადბერში (ონტარიოს პროვინცია). გაფიცულნი მოითხოვენ საპენსიო უზრუნველყოფისა და უშიშროების ტექნიკის გაუმჯობესებას საწარმოში, აგრეთვე ხელფასის მომატებას.

„ინკო სტილის“ მეპატრონეები უარს ამბობენ პროფკავშირთან მოლაპარაკებაზე, იმედი აქვთ, რომ დაიმორჩილებენ გაფიცულებს. ქარხნის ადმინისტრაცია შანტაჟს უწევს მუშებს, აცხადებს, რომ საწარმოს დახურავენ, თუ მეფოლადეებმა არ შეწყვიტეს გაფიცვა.

კარაკასი. გაფიცვა გამოაცხადა ვენესუელის ტელეგრაფის 15 ათასმა მუშამ. ისინი პროტესტს აცხადებენ ხელფასის გაცემის დაგვიანების წინააღმდეგ.

დელი. ელექტროენერგიის წარმოება ინდოეთში 1978-79 საფინანსო წლის პირველ 9 თვეში 13 პროცენტით გაიზარდა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, განაცხადა დელში ენერგეტიკის მინისტრმა პ. რამაჩანდრანმა.

ბრაზზავილი. აქ გაიმართა კონგოს სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სხდომა კონგოს სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის ჟ. ომბი-ოპანგოს თავმჯდომარეობით.

სხდომაზე განიხილეს კონგოს სახალხო რესპუბლიკაში განათლების სისტემის განვითარებისა და სრულყოფის საკითხები, ზოგიერთი ეკონომიკური პრობლემა. მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება შექმნას ქალაქ პუენტენუარში უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი, რომელიც მომამზადებს ელექტროტექნიკის, ლითონების დამუშავების დარგისა და სხვა დარგების სპეციალისტებს. მიიღეს აგრეთვე გადაწყვეტილება დაარსდეს წყლებისა და ტყეების ეროვნული სკოლა და სასოფლო-სამეურნეო სპეციალისტების მოსამზადებელი ცენტრი.

ირანი: ორხელისუფლებიანობის პირობებში

პარიზი, 22 იანვარი. (საკდესი). აქ ჩამოსულმა შაჰის მიერ დანიშნულმა ირანის რეგენტთა საბჭოს თავმჯდომარემ თეჰრანიმ განაცხადა, რომ გადადგა ამ პოსტიდან. მან ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტებს აცნობა, რომ ეს გადაწყვეტილება მიიღო საბჭოს საქმიანობაში „სიძნელეების“ გამო, რომლებიც გამოწვეულია ამასწინანდელი მასობრივი მანიფესტაციებით ირანის დედაქალაქსა და სხვა ქალაქებში.

თეჰრანი პარიზში ჩამოვიდა იმ მიზნით, რომ მოლაპარაკებოდა ირანის მუსულმანური ოპოზიციის ლიდერს აიატოლა ჰომეინის, რომელიც აქ ცხოვრობს. ის ფაქტი, რომ მან თავისი გადადგომა აცნობა ჰომეინის, მიმომხილველთა აზრით, მოწმობს, რომ თეჰრანი რეალურად არსებულ ხელისუფლების წარმომადგენლად ცნობს ჰომეინის და არა პრემიერ-მინისტრ ბახტიარს.

როგორც იუწყებიან, პარიზში ჩამოსვლას აპირებენ აგრეთვე ირანის პარლამენტის ორივე პალატის — მეჯლისისა და სენატის თავმჯდომარეები, რომლებიც მოლაპარაკებას გამართავენ ჰომეინისთან იმის გამო, რომ მან მოუწოდა პარლამენტის დეპუტატებს გადადგნენ. როგორც ცნობილია, ამ მოწოდებას უკვე გამოეხმაურა ირანის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს დაახლოებით 20 წევრი.

ირანიდან შაჰის გამგზავრების შემდეგ შექმნილ ვითარებას ახასიათებენ როგორც განსაკუთრებით რთულსა და მწვავეს. პრაქტიკულად ირანში არსებობს ერთგვარი ორხელისუფლებიანობა, როცა ბახტიარის მთავრობას, რომელიც შაჰმა დანიშნა, მაგრამ არ სარგებლობს მასობრივი მხარდაჭერით, შეუძლია მხოლოდ იმის პრეტენზია იქონიოს, რომ ირანს მართავს. მეორე მხრივ, ხალხის ფართო მასები, რომლებიც მჭიდროდ დაირაზმნენ შაჰის მიმართ ოპოზიციური მოძრაობის ლიდერების გარშემო, ბევრ მხრივ განსაზღვრავენ ქვეყანაში მოვლენათა განვითარებას ისეთ პირობებში, როცა არმიის ხელმძღვანელობას ლოდინის პოზიცია უკავია, რადგან ახლა ეშინია ფართო მასშტაბით გამოიყენოს ძალა ხალხის გ

ნეჩილეჯი

კომუნისტი

დღეს ჩვენი მკითხველი

● **გვიზიარებს სიხარულს:** აშენდა ახალი კლუბი, სახლი, ხიდი, საბავშვო ბაღი.

● **გვთავაზობს აზრს:** ხევსურეთში გაიხსნას ხალიჩების ფაბრიკა.

● **გამოთქვამს გულისწყრომას:** კოლმეურნეთა ნაშრომი წყალში გადაიტარა.

● **აკრიტიკებს:** საქმე პროექტს არ გასცდენია.

ქართული ბიბლიოთეკა

მკითხველი კმაყოფილია

□

პირველი კარნავალი

დიდი ხნის ნატვრა აუსრულდათ ონის სამკერვალო ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებს. ახლახან მათ თავიანთი კლუბის ახალმოსახლეობა იზეიმეს. მოიწყო პირველი კარნავალი, ვიქტორინა და კონცერტი. გაიმართა კონკურსი ცეკვასა და სიმღერაში, მოეწყო თამაშობა „მხიარული ფეხბურთელი". კონკურსში გამარჯვებულ ახალგაზრდებს ყიურომ სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

ნ. დუშუაშვილი.

ონი.

პატარეგის სიხარული

კიროვის სახელობის საწარმოო გაერთიანების „ჩარხმშენებლის" № 48 საბავშვო ბაღმა ახალმოსახლეობა იზეიმა. ორსართულიანი ლამაზი შენობა, რომელიც 140 ბავშვისათვის არის განკუთვნილი, ახლახან ყმაწვილების ერიამულმა აავსო. ახალმა სათამაშოებმა, ნათელმა ოთახებმა გული გაუხარა პატარებს. მათი სიხარული ხომ მშობლების სიხარულიც არის.

გამოცდილი პედაგოგი გალინა საყვარელიძე, რომელიც ოთხი ათეული წელი ამ ბაღის უცვლელი გამგეა, თავის ცამეტ აღმზრდელთან ერთად, მზრუნველობას არ აკლებს პატარებს. ეს კი დიდად გვეხმარება ჩვენ, მშობლებს, რომ მშვიდად ვიმუშაოთ ჩარხებთან.

ვ. ძარკუსაშვილი,
ვ. მირველოვი,
თბილისის საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებლის" მეთაური საწარმოს მუშამოსამსახურეები.

ბარაქალა, მშენებლებო!

ახალ წელს ნამდვილად ბედნიერება დაებედა ორმოცდარვა გურჯაანელ ოჯახს — მათია ის ლამაზი შენობა, ახლახან რომ წამოიმართა ი. ჭავჭავაძის ქუჩაზე. ბარაქალა სასოფლო მშენებლობის სამინისტროს გურჯაანის № 4 ტრესტის შესამე მოძრავ-შემქანიზებულ კოლონას — მათ ეს სახლი ვადაზე ერთი წლით ადრე ჩააბარეს მობინადრეებს. ჯერ ამ სახლში ახალმოსახლეობა ყველას არც უზეიმია, ორჯონიკიძის ქუჩაზე კი საძირკველი ჩაეყარა კიდევ ერთი სახლის მშენებლობას.

ბ. ალნიაშვილი.

გურჯაანი.

სოფლები დააკავშირა

მდინარე ჩაქვის წყალი სოფელ ხალასთან გადაულახავი იყო ტრანსპორტისათვის. ასე რომ, უძველესი დროიდან ერთმანეთს მოწყვეტილი იყო ხალა, ჩაისუბანი, გორგაძეები და სხვა სოფლები. ახლახან აქ დამთავრდა კაპიტალური ხიდის მშენებლობა — აღსრულდა ჩვენი მხარის ათასობით ადამიანის დიდი ხნის ოცნება. ხიდმა მეზობელი სოფლები დააკავშირა და სამანქანო გზა ათი კილომეტრით შეგვიმოკლა.

ნ. დიასამიძე.

ქობულეთი.

ახალი ლაინერები

ბათუმის აეროპორტში სიახლეა — მოფრინდნენ და ამიერიდან აეროდრომის ბინადარნი იქნებიან ახალი, კოხტა ჩეხური მიკროლაინერები — „ლ-410 მ". ისინი ახლო მანძილზე — ფოთსა და სოხუმში გადაიყვანენ მგზავრებს. მიკროლაინერები მოხერხებულია მაღალმთიან რაიონებში საფრენდაც. თვითმფრინავი საათში 350 კილომეტრს გადის და 17 მგზავრს იტევს. ლაინერის სალონი ობება, ჰაერი კონდიცირებულია. საზაფხულოდ ლაინერები კიდევ ახალი რეისებით ივლიან.

გ. მიხელაძე.

ბათუმი.

„ჩვენი საცხოვრებელი სახლის სარდაფი გრუნტის წყლით იტბორება. მართალია, იმთავითვე შიგ დროდადრო წყალი დგებოდა, მაგრამ სათანადო პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელების შედეგად იწრიტებოდა ხოლმე. წლეულს კი მდგომარეობა ისე გაუარესდა, რომ ამოჭაჩვაც აღარ შველის, წყლის დონე დღითიდღე მატულობს..." (ნ. სალიაშვილის, ნ. ბუალავას და ა. მოსაშვილის წერილიდან).

ეს ხდება ჩვენს დედაქალაქში, საბურთალოს ქუჩაზე, რომელიც არცთუ დიდი ხანია, რაც მაღლივი საცხოვრებელი კორპუსებით განაშენიანდა.

აქ სახლები № 42-ის მესამე, მეექვსე, მეშვიდე კორპუსები, თოთხმეტსართულიანი № 44 ავარიული გემებივით წყალში დგანან.

საბურთალოს ქუჩის № 42 სახლის მეშვიდე კორპუსის მცხოვრებთ საჩივრის წერის გარდა სხვა გატაცებაც გასჩენიათ... ყველა, თორმეტივე ოჯახის წევრი (ამ კორპუსში თორმეტი ოჯახია) ერთბაშად მონადირის მაღალყელიანი რეზინის ჩექმის და სათვეზაო ბადის მოტრფიალე გამხდარა...

ეს ამბავი ასე დაიწყო: აღნიშნული კორპუსის სარდაფში წყლის დონემ ერთ მეტრს რომ მიაღწია, მობინადრენი საგონებელში ჩავარდნენ:

სარდაფის თაროებზე დიასახლისის მზრუნველი ხელით შემოწყობილი მთელი ზამთრის სარჩო-სანოვაგე — კომპოტებით, მურაბებით თუ მწნილებით სავსე ქილები ირგვლივ მადის აღმძვრელ სურნელებას ამაოდ აფრქვევენ... პატრონი მათ ვერ წვდება.

წყალში ტიტივებენ ბოთლები, კასრები, ქილები და კიდევ ვინ იცის, რა...

თურმე ნუ იტყვით, სარდაფში ბინა დაუდვიათ... ლოკოკინებს, ბაყაყებს. ჰო, ბაყაყებს, რომლებიც გამოზამთრებას აქვე ამირბენ. კოლობს კი, ნუღარ იკითხავთ, ზაფხულობით თავიანთი უსიამოვნო წუილით იკლებენ აქაურობას.

ეს, რაც ითქვა... და რაც არ გვითქვამს?

სარდაფში ხომ ცხელი წყლისა და გათბობის მილებია?

საძირკველი რკინა-ბეტონისაკია, მაგრამ...

სად არ იჩიჟლეს... მერე რამდენჯერ...

მათ დაძახილზე „მაშველი რაზმი" მაშინვე მოდიოდა. მაგრამ ზღვა კოვზით დაილევა?

მარიამ სალიაშვილმა ბევრი ითმინა, ითმინა და ბოლოს ვეღარ მოითმინა. ერთ დღეს თავის მეუღლეს — ნიკოლოზს მუდარით უთხრა:

— შე კაცო, სარდაფში როდემდე არ ჩახვალ? რამე იღონე...

ნიკოლოზმაც იფიქრა, იფიქრა და ბოლოს მოიფიქრა კიდეც... მეორე დღეს, სამუშაოს დამთავრებისთანავე პირდაპირ პუშკინის ქუჩაზე მდებარე სპეციალურ სამონადირეო კავშირის მაღაზისკენ გასწია.

ბედმა გაუღიმა. მაღაზიაში შესვლისთანავე თვალი მოჰკრა ნანატრ მაღალყელიან რეზინის ჩექმას.

ერთხანს ხელში ატრიალა. ფეხზეც მოიზომა..

— ესეც ასე! — ხმამაღლა წამოიძახა ნასიამოვნებმა.

— ვა, ნიკოლოზ, ამ სიბერეში თევზაობა დაიწყე? — ზურგს უკან ნაცნობი ხმა შემოესმა. მიბრუნდა, მისი მეგობარი სიმონი იყო. ხელში ანკეი ეჭირა. მას თევზაობა ბავშვობიდანვე უყვარდა.

— ნეტავ, მართლა თევზაობა დამეწყო, — სინანულით გაიფიქრა ნიკოლოზმა.

ეს იყო და ეს. ამ დღიდან ნიკოლოზის ჩექმა ამ სახლის მცხოვრებთა საზიარო გახდა. სარდაფში ჩასვლისას რიგრიგობით ხმარობდნენ. შემდეგ საკუთრადაც შეიძინეს.

— ხალხნო, მომხედეთ, სარდაფში ჩავდივარ! — ხშირად გაიგონებთ ნანული ბარამიძის ხმას.

რა ქნას, ეშინია წყალში არ ჩაიხრჩოს...

სათევზაო ბადე რაღა საჭირო იყოო, გაოცებულმა რომ ჯითხა მარიამმა, ახლა მას ჩინებულად იყენებს... წყალში მოცურავე ბოთლების, ქილების დასაჭერად.

ჩვენს წერილში ერთ კონკრეტულ ფაქტზე ვამახვილებთ ყურადღებას. მაგრამ ქალაქში მსგავსი შემთხვევები არცთუ მცირეა.

სახლები წყალში დგანან ბახტრიონის, იპოდრომის, კუტუზოვის, მიცკევიჩის, პეკინის, პავლოვის ქუჩებზე, ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე. გლდანის მასივში...

მიზეზი? — ძირითადად საცხოვრებელი სახლებისათვის დრენაჟის მოუწყობლობა ან მისი მოძველება.

ამ საკითხთან დაკავშირებით თავის დროზე ორჯონიკიძის რაისაბჭოს და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომებში, ქალაქის კაპიტალური მშენებლობის სამმართველოსა და „თბილისქალაქპროექტშიც" ბევრი იფიქრეს, იმსჯელეს, იდავეს და სათანადო ღონისძიებებიც დასახეს, მაგრამ საქმე მაინც დღემდე გაჭიანურდა.

საბურთალოს ქუჩისა და იპოდრომის მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგებული საცხოვრებელი სახლების სარდაფებიდან გრუნტის წყლების მოცილების ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენა კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს თავის საპროექტო სატიტულო სიაში ჯერ კიდევ 1976 წლის დამდეგს შეუტანია და „თბილისქალაქპროექტისათვის" მის დაპროექტებაზე შეკვეთაც მიუცია. სადრენაჟო ნაგებობათა მშენებლობა გათვალისწინებული ყოფილა 1977 წლისათვის, მაგრამ იგი დღესაც არ დაწყებულა.

აღნიშნულ შეკვეთას რატომღაც ძალა დაუკარგავს...

„თბილისქალაქპროექტს" პროექტი შეუდგენია უკვე ხელმეორე, 1978 წლის 2 აგვისტოს შეკვეთით. პროექტზე მუშაობა დაუმთავრებია. მაგრამ მას დაუპროექტებია არა შემკვეთის მიერ წარმოდგენილ სიაში დასახელებული ყველა სახლის, არამედ უპირველეს ყოვლისა ყველაზე საეალო მდგომარეობაში მყოფი სახლების, მათ შორის საბურთალოს ქ. № 42 მეშვიდე კორპუსის! სადრენაჟო სამუშაოები (მეორე რიგში გათვალისწინებული აქვს დანარჩენი სახლების დრენაჟის დაპროექტება), რის გამოც შემკვეთსა და შემსრულებელს შორის დავა ამტყდარა. სადაო კიდევ ბევრი სხვა რამეც გამხდარა.

კარგი დრო კი შეურჩეგიათ დავისთვის! ხომ შეიძლებოდა პროექტის შედგენის დაწყებამდე შეთანხმება და საერთო ენის გამონახვაც?

ამ დავაში თითქმის თვეზე მეტი გავიდა, მაგრამ საქმე ჯერ პროექტის იქით არ წასულა. კანა დაესაშვებია ისედაც გაჭიანურებული საქმის კიდევ გაჭიანურება, მაშინ, როცა სახლები ერთ მეტრამდე წყალში დგანან და არავინ უწყის მისი საძირკვლები ჩამორეცხვას კიდევ როდემდე გაუძლებენ?

ლ. ძეძამიძე.

თვალს არ დაუჯერებ!

სახლები წყალში დგანან...

ნაგზაური ● ფოტოგრაფიები

ეს სურათი გუშინ გადაიღო ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ს. კილაძემ. არ იფიქროთ, ეს მიყრუებული, მივარდნილი ადგილი იყოს—არა თბილისში, დიღმის მასივის შუაგულში მეოთხე კვარტალის მეთექვსმეტე კორპუსის წინ გამავალი გზაა. ავტომანქანა დაიმსხვრეს კი არა, თუ ფრთხილად არ გაიარე, კაცმა შეიძლება კისერი მოიტეხო.

გზას ვამბობთ თორემ, ერთ დროს მშვენიერი, მოასფალტებული ქუჩა ახლა უკვე ნაგზაურად ქცეულა...

მხოლოდ უზადოდ

„ავტომომსახურების" გორის სადგურში ყოველდღე ათობით ადამიანი მოდის. როგორია მათი გუნება-განწყობილება, როდესაც ჩვენგან მიდიან? სადგურის შთაბეჭდილებათა წიგნის ჩანაწერები ამ კითხვაზე ვრცელ პასუხს იძლევა. მათი ავტორები არიან მოსკოველი ექიმები, ერევნელი ჟურნალისტები, ჩელიაბინსკელი პედაგოგები, საქართველოს სხვადასხვა ქალაქების მკვიდრნი, რომლებიც სადგურის კოლექტივს, მსუბუქი ავტომანქანების მერემონტეებს მადლობას უხდიან.

დამკვრელური წლის სახელმწიფო დავალება ვადაზე ადრე შეასრულეთ, 336 ათასი მანეთის ნაცვლად 351 ათას მანეთს აღწევს შესრულებულ სამუშაოთა ღირებულება, ასე რომ ხუთწლედის მეოთხე წელი ჩინებული გუნება-განწყობილებით დავიწყეთ.

მართლაც, რა ჯობია, როცა კეთილ სამსახურს გაუწევ ადამიანებს, — უზადოდ გარემონტებული მსუბუქი ავტომანქანა კვლავ მწყობრში რომ ჩადგება და უდიდეს სიხარულს, გნებავთ, ერთგვარ ბედნიერებასაც მოუტანს მის პატრონს.

ვ. მაზიაშვილი,
„ავტოტექმომსახურების" გორის სადგურის ზეინკალ-შემკეთებელი.

სუსხიანი სტრიქონები

„კომუნისტის" საკორესპონდენტო პუნქტმა წერილი მიიღო: „პატივცემული რედაქციავ! ამბროლაურის რაიონის მთა-ბარის ტყეები მდიდარია სხვადასხვაგვარი ხილ-კენკრით. ჩვენმა მთის სოფელმა ხონჭიორმა დიდი ხანია სახელი გაითქვა სამკურნალო ნაყოფის შეგროვებით. 1977 წლის შემოდგომაზეც ხონჭიორელებმა ტონანახევარი ასკილი შეავაროვეთ და შავრა-ნამანევის დამამზადებლებს ლ. დვალს და ბ. ფოფხაძეს ჩავაბარეთ. ამ ვაუბატონებმა ჩაბარებით კი ჩაიბარეს, მაგრამ ზედნადები არ გამოწერეს, ასკილის კრეფისა და ჩაბარების რეკორდი სოფლის მკვიდრს ა. ბუაძეს ეკუთვნის. მან 172 კილოგრამი ნაყოფი ჩააბარა კოლმეურნეობის დამამზადებელს. ასევე დიდძალი ნაყოფი ჩააბარა რ. ბუაძემ. ამ გამრჯე დიასახლისმა 140 კილოგრამი ნაყოფი მოკრიფა, ერთი სიტყვით, ეხერგია არ დაიშურეს კოლმეურნეებმა ამისათვის, რომ მშრომელებს ჰქონოდათ სურნელოვანი ასკილის წვენი, ხოლო აფთიაქებს — შესანიშნავი სამკურნალო ნედლეული.

მერე და რატომ არ ბრიდა ასკილი საბოლოო დანიშნულების ადგილამდე? რამ შეუშალა ხელი? პირველ ყოვლისა დამამზადებლების უპასუხისმგებლობამ და მემეცინარეობის პროდუქტების შესყიდის ახალი წესის უხეშმა დამახინჯებამ. შავრა-ნამანევის კოლმეურნეობის ყოფილი დამამზადებელი ლ. დვალი, მოვალე იყო, როგორც ამას ინსტრუქცია ითვალისწინებს, ასკილის თითოეული ჩამბარებელი კოლმეურნის სახელზე გამოეწერა ზედნადები. ამ დოკუმენტით კი კოლმეურნეობის საბუღალტრო სამსახურს უნდა გაეცა ასკილის ღირებულება. მაგრამ ეს დადგენილი წესი აქ არავინ შეასრულა.

მერე და ვინ არის დამნაშავე? უპირველესად შავრა-ნამანევის კოლმეურნეობის მაშინდელი თავმჯდომარე ვ. დვალი.

საყვედურის ღირსია სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ნ. დვალიც, რომელმაც იცოდა, რომ დამზადების არსებული წესი დაირღვა, მაგრამ არაფერი არ იღონა. კოლმეურნეების ნაშრომ-ნაამაგარი დიდხანს ჯერ ვიღაცის ეზოში, მერე სკოლის აივანზე უპატრონოდ ეყარა, მერე დალპა.

ალბათ, ამ საკითხით სათანადოდ დაინტერესდებიან რაიონის ხელმძღვანელი ორგანოები. იმ პირუბმა კი, ვინც სახელწოფოსაგან ხელფასი მიიღო, მაგრამ უმოქმედობა გამოიჩინა და თავისი მოვალეობა არ შეასრულა, კანონის წინაშე პასუხი უნდა აგონ.

გულგრილობა... 140 მანეთად?

ანუ „დამნაშავეა მეილრე"

ახალწლის წინა ღამეს ქალაქ ხაშურის რკინიგზის საადგურის (უფროსი — ო. ბიჭიაშვილი) მეზობლად მდებარე ნავთობბაზის ჩიხში (ნავთობბაზის დირექტორი — რ. ნამგალაძე) დასაცლელად ბენზინით სავსე სამი ვაგონი ჩააყენეს. მოულოდნელად ელექტროდენი გამოირთო, მუშებმა საქმეს თავი ანებეს ისე, რომ ვაგონები საჩაბომესმენელ მოწყობილობიდან არ გამოუთიშავთ.

საფიქრებელი იყო, რომ როგორც რკინიგზის საადგურის, ისე ნავთობბაზის ხელმძღვანელობა სიფხიზლეს გამოიჩენდნენ მოსალოდნელი ხიფათის თავიდან ასაცილებლად. არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა! ნავთობბაზის ხელმძღვანელებმა გუშაგებიც კი არ გაგზავნეს სარკინიგზო ჩიხში შექმნილი მდგომარეობის გამო. 2 იანვარს, შუაღამისას სამანევრო თბომავალ გამოუძახეს და ვაგონებს მიაბეს...

ვაგონები სამოძრო რელსებიდან გადავიდნენ და ჩამოსასხმელი მოწყობილობა მოგლეჯეს. ერთერთი მათგანიდან 3188 კილოგრამი ბენზინი გადმოიღვარა. მომხდარი შემთხვევის თაობაზე აქტი შეადგინეს. საწვავის დანაკარგების გამო მიყენებულმა ზარალმა, მართალია, 140 მანეთი შეადგინა, მაგრამ რკინიგზის საადგურისა და ნავთობბაზის ხელმძღვანელობის გულგრილობას ვინ შეუდგენს აქტს?

ჰოდა, ვინ არის დამნაშავე, და, — მეილრეო!.. მოხსნეს გუშაგები, დასაჯეს მატარებლის შემდგენლები, თანაშემწეები და ამით, როგორც იტყვიან, ხელი დაიბანეს, მაგრამ მტკვარში გადაღვრილი ათასობით ლიტრი ბენზინის ხუნი ხელებს მაინც შერჩა.

საკითხავია: ნეტავ, თუ გრძნობენ ამ ხუნს ხაშურის რაიონში?

გ. კაპანაძე.

ხაშური.

ვიღა მოკრეფს ასკილს?!

ანუ ამბავი იმისა, თუ როგორ დაარღვიეს პროდუქტების დამზადების წესი, რასაც საკმაო ზარალი მოჰყვა

ბლოკნოტში უბრალოდ ჩაინიშნეს ჩვენი გვარები და სახელები.

გავიდა ერთი წელი, ასკილი კვლავ დამწიფდა, მაგრამ მისი მოკრეფის სურვილი არავის აღარ ჰქონდა: შარშანწინ მოკრეფილი ასკილის საფასური დღემდე არ მიგვიღია".

ეს საგანგაშო სიგნალი შეამოწმა ჩვენმა საკუთარმა კორესპონდენტმა ვ. ცირეკიძემ. მან გვაცნობა:

ხონჭიორში ასკილის ჩამბარებელთა სია მოვიკითხეთ. აღმოჩნდა, რომ 25 კოლმეურნეს 1.323 კილოგრამი ასკილი შეუგროვებია და დამამზადებლებისათვის ჩაუბარებია. ასკილის კრეფისა და ჩაბარების რეკორდი სოფლის მკვიდრს ა. ბუაძეს ეკუთვნის. მან 172 კილოგრამი ნაყოფი ჩააბარა კოლმეურნეობის დამამზადებელს. ასევე დიდძალი ნაყოფი ჩააბარა რ. ბუაძემ. ამ გამრჯე დიასახლისმა 140 კილოგრამი ნაყოფი მოკრიფა, ერთი სიტყვით, ეხერგია არ დაიშურეს კოლმეურნეებმა ამისათვის, რომ მშრომელებს ჰქონოდათ სურნელოვანი ასკილის წვენი, ხოლო აფთიაქებს — შესანიშნავი სამკურნალო ნედლეული.

მერე და რატომ არ ბრიდა ასკილი საბოლოო დანიშნულების ადგილამდე? რამ შეუშალა ხელი? პირველ ყოვლისა დამამზადებლების უპასუხისმგებლობამ და მემეცინარეობის პროდუქტების შესყიდის ახალი წესის უხეშმა დამახინჯებამ. შავრა-ნამანევის კოლმეურნეობის ყოფილი დამამზადებელი ლ. დვალი, მოვალე იყო, როგორც ამას ინსტრუქცია ითვალისწინებს, ასკილის თითოეული ჩამბარებელი კოლმეურნის სახელზე გამოეწერა ზედნადები. ამ დოკუმენტით კი კოლმეურნეობის საბუღალტრო სამსახურს უნდა გაეცა ასკილის ღირებულება. მაგრამ ეს დადგენილი წესი აქ არავინ შეასრულა.

მერე და ვინ არის დამნაშავე? უპირველესად შავრა-ნამანევის კოლმეურნეობის მაშინდელი თავმჯდომარე ვ. დვალი.

საყვედურის ღირსია სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ნ. დვალიც, რომელმაც იცოდა, რომ დამზადების არსებული წესი დაირღვა, მაგრამ არაფერი არ იღონა. კოლმეურნეების ნაშრომ-ნაამაგარი დიდხანს ჯერ ვიღაცის ეზოში, მერე სკოლის აივანზე უპატრონოდ ეყარა, მერე დალპა.

ალბათ, ამ საკითხით სათანადოდ დაინტერესდებიან რაიონის ხელმძღვანელი ორგანოები. იმ პირუბმა კი, ვინც სახელწოფოსაგან ხელფასი მიიღო, მაგრამ უმოქმედობა გამოიჩინა და თავისი მოვალეობა არ შეასრულა, კანონის წინაშე პასუხი უნდა აგონ.

„კომუნისტის" კონტროლზეა

ამას წინათ „თბილისტანსაცმელეკეთილობის" № 46 მაღაზიაში გაიმართა მუშამოსამსახურეთა საერთო კრება, რომელსაც ეკურობის სამმართველოსა და „ტანსაცმელეკეთილობის" საორგანიზაციო განყოფილების მუშაკებიც ესწრებოდნენ. დღის წესრიგში იდგა ერთი საკითხი — „კომუნისტის" რედაქციიდან მიღებული წერილის განხილვა. ამ წერილში ჩვენი მკითხველი ქ. გელაშვილი თავის გულისტკივილს გამოთქვამდა იმის გამო, რომ მაღაზიის გამგე შ. გაბარაშვილი უსულგულოდ და უხეშად მოექცა.

— კრებაზე ითქვა, — გვწერს თბილისის ეკეთილობის სამმართველოს უფროსის მოადგილე ამხ. ნ. სიჭინავა, — რომ მაღაზიის ყველა მუშაკი გაეცნო მოსკოვის ელექტრო- საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების № 61 მაღაზიის მუშაობის გამოცდილებას და ამ საკითხზე „პრავდის" გასული წლის 8 დეკემბრის მოწონავე სტატიას — „მთავარია მყიდველის მოთხოვნილებანი". ჩვენი მუშაობის დევიზი უნდა იყოს: მაღალ დონეზე მოვემსახუროთ მომხმარებელს;

ამასთან გატყობინებთ, რომ ქ. თბილისის ეკეთილობის სამმართველოს საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებით, მაღაზიის გამგე შ. გაბარაშვილი არ შეეფერება დაკავებულ თანამდებობას, რის გამოც „თბილისტანსაცმელეკეთილობის" ხელმძღვანელობას წინადადება მიეცა გადაიყვანოს იგი სხვა სამუშაოზე.

* * *

იანეთის სადგურში მგზავრთა მომსახურების წესების უხეშ დარღვევებზე მოგვითხრობდა ჩვენი მკითხველის ტ. ცქიტიშვილის წერილი. რედაქციამ ეს წერილი შესამოწმებლად და ზომების მისაღებად გადაუგზავნა ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილებას. ინ რას გვწერს განყოფილების უფროსი ამხ. კ. მგელაძე:

— ჩვენ გულდასმით შევისწავლეთ „კომუნისტის" გადმოგზავნილი განცხადება. მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად ამჟამად ამ სადგურში მოწესრიგებულია ბარგის მიღებისა და შეუფერხებლად გაგზავნის ოპერაციები. სადგურის ხელმძღვანელობა გაფრთხილებულია, რომ მომავალში ამ ოპერაციების მცირეოდენი შეფერხებისთვისაც კი დამნაშავეების მიმართ მიღებული იქნება უმკაცრესი ზომები.

* * *

ჩვენი გაზეთის მკითხველები ხმელიძე, ბერიძე და სხვანი რედაქციას ატყობინებდნენ რუსთაველ № 20 გაერთიანების საავეჯრო ობიექტებში აღმაშფოთებელი დარღვევებიაო.

— განცხადებაში მოყვანილი ფაქტები — მომხმარებლის ზომა-წონაში და ანგარიშში მოტყუება, სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევა-შემოწმების შედეგად დადასტურდა, — გვწერს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ა. უბირია. — ქ. რუსთაველის საავეჯრობის სამმართველომ № 20 გაერთიანების 8 თანამშრომელს დაადო სხვადასხვა დისციპლინარული სასჯელი, ხოლო გაერთიანების დირექტორს გ. ბეგაშვილს დაქვემდებარებული ობიექტების მუშაობისადმი სუსტი კონტროლისათვის საყვედური გამოეცხადა.

ROGORC GVEMSAXUREBIAN?

თელავში — გასაპარსად!

ჩაბინაანელთა გასაჩივრი

ჩაბინაანი საკმაოდ მოზრდილი სოფელია ახმეტის რაიონში. მისი სახნავ-სათესები ზემო ხოდაშნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში შედის და საერთო წარმატებას აქაურთა თავდადებული შრომაც განაპირობებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის ცნობილი დადგენილება მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომ ამაღლებას ითვალისწინებს, მაგრამ სოფლის მშრომელები მომსახურების ყველა სიკეთეს მოკლებული ვართ. სოფელში ვერ ნახავთ მომსახურების თითქმის ვერც ერთ ობიექტს. განსაკუთრებით გვაწუხებს საპარიკმახეროს უქონლობა.

მართალია, ზემო ხოდაშნის საბჭოთა მეურნეობამ საპარიკმახერო აგვიშენა, მაგრამ იგი მაღაზიის ყარაულის დასასვენებელ და გამოსაძინებელ ოთახად არის გამოყენებული. ახმეტის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველომ, მიუხედავად არაერთგზის თხოვნისა, სამი წლის განმავლობაში თავი ვერ მოაბა იმ საქმეს, რომ კვირაში ორჯერ მაინც გამოგზავნოს პარიკმახერი ჩვენთან და გასაპარსად თელავსა და ახმეტაში სიარულს აგვაცდინოს.

ჩაბინაანელები არც სავაჭრო მომსახურებით ვართ განებივრებული. სოფლის ცენტრში მდებარე პატარა მაღაზია. სათანადოდ არ მარაგდება. აქ ხშირად ყოველდღიური მოთხოვნილების საქონელიც კი არ არის. ეს მაღაზია არა მარტო ჩვენს სოფელს, არამედ მის ახლოს მდებარე პატარა სოფლებსაც — ჩარექაულსა და ახალდაბას ემსახურება.

ერთი ამბავიც გვსურს გაგიზიაროთ და ამით დავამთავროთ ჩვენი სათქმელი: ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით სოფელი ჩაბინაანი რატომღაც ოქიოს სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს ექვემდებარება. ოქიომდე ხუთი-ექვსი კილომეტრი უნდა ვიაროთ, მაშინ, როცა ზემო ხოდაშნის სასოფლო საბჭოს შენობა იქვე, მეურნეობის ადმინისტრაციული სახლის წინ 40-50 მეტრზე გვიდგას. ცხადია, მოსახლეობას უჭირს ოქიოს სასოფლო საბჭოში სიარული. თავის მხრივ, ვერც სასოფლო საბჭო ამყარებს სოფელთან საჭირო კავშირს და ალბათ ესეც არის მომსახურების ზემოაღნიშნული ნაკლოვანებების მიზეზი.

ჩაბინაანელი მშრომელების სახელით: ა. ყიფიანი, ა. ჩხეტიანი, მ. გოგრიჭიანი, ო. სხირელი, ე. გუგეშიძე.

ოგზაური აპარატი

მეტეხის ნაცვლად — ლენტეხში

წავიკითხე თქვენს გაზეთში გამოქვეყნებული წერილების მიმოხილვა „სანამ განცხადებას დაწერდე". ეგთანხმებით, ზოგიერთი მოქალაქე თავისი უსაფუძვლო საჩივრებითა და განცხადებებით აცდენენ ორგანიზაციებს, უშლიან ხელს მუშაობაში — ართმევენ ძვირფას დროს. მაგრამ არის შემთხვევები, როცა მომჩივანი მართალია, მაგრამ მის საჩივარს გულგრილად ეკიდებიან.

შარშან მაისში „სამედიცინო ტექნიკის" რესპუბლიკური სამმართველოში მივიტანე ექიმის ცნობა და განცხადება იმის შესახებ, რომ ვარ სამამულო ომის მეორე ჯგუფის ინვალიდი, პენსიონერი, გადამდგარი ოფიცერი. დაავადებული ვარ ჰიპერტონიული დაავადებით, ათეროსკლეროზით, ვიმყოფები ექიმთა მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ და ვითხოვდი ჩემთვის წნევის აპარატის გამოყოფას.

„სამედიცინო ტექნიკის" სამმართველომ დიდი დაგვიანებით, რამდენიმე თვის შემდეგ განიხილა განცხადება და თითქოს დაკმაყოფილა კიდეც ჩემი ითხოვნა — ფოსტით გამომგზავნა წნევის აპარატი, მაგრამ განა ამას დაკმაყოფილება ჰქვია, აპარატი დღესაც არ მიმიღია? ჩემი მისამართია კასპის რაიონი, სოფელი მეტეხი, აპარატი კი მეტეხის ნაცვლად ლენტეხში გაუგზავნიათ და ვერა და ვერ იქნა მისი სწორ მისამართზე დაბრუნება. ხომ წარმოიდგენთ, როგორ გავნერვიულდებოდი ეს ავადმყოფი კაცი?

ვ. ენუქიძე,
კასპი, მეტეხი.

მე, შენ, ჩვენ!

გადაძახილი

რუსთაველ მეტალურგთა პატრიოტულ თაოსნობას — „არცერთი ჩამორჩენილი ჩვენს გვერდით!" რესპუბლიკის ყველა საწარმოს, კოლმეურნეობის თუ საბჭოთა მეურნეობის მშრომელთა კოლექტივმა დაუჭირა მხარი. ბევრმა კარგადაც დაგეგმა და მოაწყო მუშაობა, სასურველი შედეგს მიაღწია. მაგრამ ზოგან, აი თუნდაც ჩვენს ფერმაში, ისე ვერ ავაწყვეთ საქმე, რომ ყველა კარგად მუშაობდეს. მწყემსებს ვერ ვინარჩუნებთ, ველგაზე დაბალია პირუტყვის პროდუქტიულობა...

ჩემი აზრით, ამ საქმის ნამდვილად მოწოდების სიმაღლეზე დაყენებისათვის საჭიროა ღონისძიებათა მთელი კომპლექსი, დავალების შესრულებისა და შემოწმების ახალი ფორმებისა და მეთოდების გამონახვა.

იქნებ ამის შესახებ, გაზეთ „კომუნისტის" საშუალებით, მოგვითხრობდა რომელიმე საწარმოს პარტიული ან პროფკავშირული ორგანიზაციის ხელმძღვანელი? ჩვენ მას გამოვიყენებდით, მუშაობაში დავნერგავდით.

ა. პაპუაშვილი,

სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო მაჩხაანის კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმის გამგე.

რედაქციამ ა. პაპუაშვილის თხოვნა გააცნო სიღნაღის რაიონის ხირხის საბჭოთა მეურნეობის მევენახე ბრიგადირს ს. შაიშმელაშვილს, რომლის წერილს ქვემოთ ვბეჭდავთ. ასე დაიბადა ეს გადაძახილი.

არის საზოგადოების ცხოვრებაში ისეთი მოვლენები, რომლებიც დიდხანს ამახსოვრდება ადამიანს, მთელ საზოგადოებას. ასეთი იყო სტახანოვური მოძრაობა სტახანოვის მაგალითზე მთელ თაობები აღიზარდა, ასეთსავე მიზანს, შრომას, წესრიგსა და პატიოსნებას ემსახურება რუსთაველ მეტალურგთა თაოსნობა — „არცერთი ჩამორჩენილი ჩვენს გვერდით!" ორ წელზე მეტია ის ცოცხლობს, მოქმედებს, იმარჯვებს. და ალბათ კიდევ დიდანს იცოცხლებს.

ეს მართლაც მოვლენა, დაულეველი რეზერვი, ნამდვილი სკოლაა ჩვენთვის. აკი დიდი შეფასება მისცა მასების შუაგულიდან მომავალ ინიციატივებს ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის (1978) პლენუმზე.

ბრიგადა, რომელსაც ვხელმძღვანელობ, არც ადრე იყო დიდად ჩამორჩენილი. თუმცა ჩამორჩენილები მაინც გვყავდა. მაგალითად ისეთები, რომლებიც აცდენდნენ სამუშაოს, მუშაობდნენ სეზონურად. მოგეხსენებათ, ჩვენი დარგი მევენახეობა კი ამას ვერ ურიგდება. ნათქვამიც ხომ ასეა: „ვენახში შეხვალ — შემოგყვება, გამოხვალ — გამოგყვებაო".

თვითონ ამ საკითხის — დისციპლინის დღის წესრიგში დაყენებამ, პატიოსან შრომაზე ყურადღების გამახვილებამ ბევრი ჩაახედა თავის საქციელში. მერე საზოგადოებას თვალი ვეღარ გაუსწორა, გადაწყვიტა პატიოსანი, მშრომელი ხალხის გვერდზე დამდგარიყო. არც ის არის გამორიცხული, რომ ზოგს ეს კეთილი ნაბიჯი იმის შიშმაც გადაად

ᲙᲔᲠᲐ

ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲙᲝᲚᲐ 90 ᲬᲚᲘᲡᲐᲐ

ᲒᲐᲡᲪᲓᲔᲑᲘᲗ თუ არა კლდოვანი დარიალის ვიწროებს, თქვენს თვალწინ გადაიშლება მოძმე ოსეთის გული, ქალაქი ორჯონიკიძე.

როგორც კი ფეხს დაადგამთ თავისუფლების მოედანს, სადაც ამაყად აღმართულა სერგო ორჯონიკიძის ძეგლი, თქვენს ყურადღებას მიიპყრობს აკაციებით შემკული აკაკი წერეთლის ლამაზი ქუჩა. აათვალთვალებთ პატარა აღმართს და ორსართულიანი ვარდისფერი შენობა გამოჩნდება, რომლის აბრაზეც ვკითხულობთ:

„რსფსრ განათლების სამინისტრო, აკაკი წერეთლის სახელობის მე-19 ქართული საშუალო სკოლა“.

სკოლას საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ 1888 წლის ნოემბერში. ჩრდილო კავკასიაში ცხოვრობდნენ ქართველები, რომელთა ძირითადი ნაწილი ჩამოსახლებული იყო საქართველოს მთიანი ადგილებიდან.

ვლადიკავკაზში მცხოვრებ ქართველობას არა ჰქონდა საკუთარი სკოლა, სადაც მათი ბავშვები განათლებას შშობლიურ ენაზე მიიღებდნენ.

ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებ ქართველთა ამ სანუკვარი ოცნების აღსრულების მოთავეობა წილად ხვდა შესანშნავ საზოგადო მოღვაწეს მიხეილ ზაალის ძე ყიფიანს.

1888 წლის ნოემბერში პირველად დაირეკა ქალაქ ვლადიკავკაზის ქართული სკოლის ზარი, რომელშაც სწავლამოწყურებულ ბალღებს, შშობლიურ ენაზე სწავლის დაწყება ამცნო.

სკოლის ხშირი სტუმარი ყოფილა გამოჩენილი ოსი პოეტი და საზოგადო მოღვაწე კოსტა ხეთაგუროვი, მას და მ. ყიფიანს მეგობრული ურთიერთობა ჰქონიათ, აკი მწარედ დაუტირებია კიდეც კ. ხეთაგუროვს მ. ყიფიანი, მისი ხსოვნისთვის ლექსიც მიუძღვნია.

გადიოდა წლები... სკოლა დღითი დღე იხვეჭდა სახელს, მოსწავლეთა რიცხვი სწრაფად იზრდებოდა. ერთსართულიანი პატარა შენობა ვეღარ აკმაყოფილებდა ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ქართველთა გაზრდილ მოთხოვნილებას. აუცილებელი გახდა ახალი შენობის აგება და აი, ეს შესანიშნავი საქმე ქართველმა პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ ლუარსაბ ბოცვაძემ ითავა.

მისი დაუღალავი გარჯითა და ქართველთა შეწირულობით მალე ალიმართა მშვენიერი ორსართულიანი შენობა, რომელშიც სასწავლო კლასების გარდა, მოთავსებული იყო ქართული ეკლესია, ჭრა-კერვის სკოლა, ქართული ბაღი და კლუბი, აქვე სცენაზე იმართებოდა ხალხმრავალი საღამოწარმოდგენები. ლუარსაბ ბოცვაძე აქ 14 წელს მოღვაწეობდა და დიდი სახელიც დატოვა. სკოლის მაღალ ღირსებაზე მეტყველებდა ისიც, რომ აღნიშნულ სკოლაში ქართველი ბავშვების გარდა სწავლობდნენ სხვა ეროვნების ყმაწვილებიც.

ერთხელ თურმე ერთ ქოსტ გლეხს თავისი სამი ვაჟიშვილი ლუარსაბ ბოცვაძესთან მიუყვანია და მოწიწებით მიუმართავს:

— ბატონო მასწავლებელო, თქვენმა ბრწყინვალე სახელმა და თქვენი ქართული სკოლის დიდებამ ჩვენს აულამდეც მოაღწია. აი, მოვედი და მოგიყვანე ჩემი სამი შვილიშვილი, მინდა ასწავლოთ თქვენი ენა და მდიდარი ქართული ენა.

— რამდენი წლისანი არიან თქვენი შვილიშვილები? — უკითხავს თურმე ღიმილით ლუარსაბს.

— უფროსი ცამეტისაა, საშუალო — თერთმეტისა, უმცროსი კი ცხრა წლისა.

— მერე და, სად სწავლობდნენ აქამდე?

— არსად, ჩვენს აულში სკოლა არ არის. უმორჩილესად გთხოვთ, სამივე ერთად დასვათ. ერთმანეთი ძალზე უყვართ, ნუ დაშორებთ ერთმანეთს!

ლუარსაბს ბიჭების მამა გაუხარებია.

...აღნიშნულ სკოლაში მრავალი წლის განმავლობაში მოღვაწეობდა მცოდნე გიორგი ნათაძე, რომელსაც დიდი სიყვარულით ვლიდკავკაველი ქართველები „მამაგიორგის“ ეძახდნენ. ის თურმე წირვის დამთავრების შემდეგ მრევლს მიმართავდა — შვილებო არ დაგავიწყდეთ, რომ დღეს, 5 საათზე, საპიკნიკის ბუტკის ტყეში არალეგალური ბოლშევიკური კრება არის დანიშნული.

დიახ, სკოლის შენობაში მარტო რევოლუციონერი მასწავლებელი გიორგი ნათაძე რიდი მოღვაწეობდა. აქვე მოთავსებული იყო გამოჩენილი ქართველი რევოლუციონერის, შემდგომში თერგის ოლქის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ნოე ბუაჩიძის მიერ დაარსებული არალეგალური ბოლშევიკური სტამბა.

1906 წელს, როდესაც მეფის ჟანდარმერიამ მიაგნო სტამბას და დაარბია, მისი აქტიური მონაწილეები ელენე ყაზახიშვილი და მისი ქმარი იოსებ ბაბლიძე ციმბირში გადასახლეს, ხოლო სხვებმა გაქცევით უშველეს თავს.

სკოლის ცხოვრებით დაინტერესებული ყოფილა რევოლუციის ტრიბუნი სერგი მირონის ძე კიროვი, რომელიც დიდი გულისხმიერებით ეკიდებოდა ქართველ პედაგოგებს და მათ წერილებს ხშირად აქვეყნებდა თავის გაზეთ „ტერეკში“.

ვლადიკავკაზის ქართული სკოლის ყოველდღიურ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ

ᲗᲐᲛᲐᲠᲐ ᲯᲘᲜᲩᲘᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ორჯონიკიძის ქართული საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

ᲗᲘᲛᲝᲗᲔᲝᲡ მოგვითხრობს: ვაჟიშვილმა, ცოლის დაკინებით, მამა თავმოწყნარ გოდორში ჩასვა და კლდისკენ გაემართა გადასაგდებად. გზად მოხუცმა უთხრა: შვილო, გოდრის უკან წყება არ დაგავიწყდეს. შენს შვილებს დასჭირდებათ შენი სიბერის ხანამ. შერცხვა ვაჟს და მამა უკანვე წამოიყვანა.

ეს არაკი ი. გოგებაშვილმა „დედა ენაში“ შეიტანა; შეიტანა იმიტომ, რომ ხედავდა მის უდიდეს აღმზრდელობითს ღირსებას.

რედაქციაში შემოსულმა წერილებმა გამახსენა უმადური შვილის ამბავი. ამ ბარათებში გამწარებული სიბერეს უჩივიან მოხუცებული ადამიანები. ზოგნი მოკრძალებულ საყვედურს გამოთქვამენ, მავთნი ოხსო წარკვეთილათ, ზოგნი კი, აღშფოთებულნი, უმადურ შვილთა დასჯას მოითხოვენ.

თბილისში მცხოვრები, 70 წლის მოხუცი ქალის მ. კ-ს მეზობლები გვწერენ, თუ როგორ სცემს უკუღმართ გზაზე დამდგარი, გალოთებული ვაჟი დედას.

მთის სოფელში მცხოვრები 75 წლის ქიტესა ბ. ინტელიგენტ შვილს უხმობს ბალავარშერყეული სახლის გადასარჩენად.

ქუთაისში სამოთახიანი ბინის ჭერქვეშ შვილთან ერთად მცხოვრები 65 წლის ქალი ითხოვს თავშესაფარს, რათა რძლის უკუღმართ ხასიათს განერიდოს.

გვწერენ სარეცელზე წლობით მოჯაჭვული მოხუცის გულმტკივნეები, რომლებიც სამადლოდ პატრონობენ დავრდომილს, მაშინ, როცა შვილი მახლობელ სოფელში ცხოვრობს.

ასე ითხზვება ტრაგედია სიბერისა, მიტოვებული შშობლებისა; როგორ ჰგავს მათი ცხოვრება ერთმანეთს: ვშრომობდით, მიწას თაეს ვაკლავდით, შვილებს ცივ ნიავს არ ვაკარებდით, ყველაფერი მათთვის გვინდოდაო.

შეეჩერდეთ აქ: შვილებს ცივ ნიავს არ ვაკარებდითო... შეეჩერდეთ იმიტომ, რომ ეს ერთ-ერთი მიზეზია ამ უმადლო შვილთა უგულო ხასიათისა: ისინი ეგოისტებად გაიზარდნენ, საკუთარი თავის კეთილდღეობის გარდა არაფერი აინტერესებდათ, ბუნებრივად მიიჩნევდნენ, რომ შშობლები მხოლოდ მათთვის ზრუნავდნენ.

დღეს თითქმის მოდად იქცა წრესგადასული, თავდავიწყებული „ზრუნვა“ შვილებზე. ბევრ ოჯახში 25 წლის ვაჟაცი ან ქალიშვილი „ბავშვად“ ითვლება და დედიკოები და მამიკოები დარბიან მათ საქმეებზე. განა ეს საკითხი სერიოზული მსჯელობის საგნად არ უნდა იქცეს?

არა, ახლა არც მსჯავრს ვდებთ და არ ვუსაყვედურებთ ამ სვეგამწარებულ მოხუცებს. ვეიანლაა თითზე კბენანი; ჩვენ გვინდა მივეშველოთ, ნუგეში ვცეთ მათ.

არის კი გამოსავალი?

„ლიტერატურნაია გაზეტაში“ ამას წინათ დაიბეჭდა გრიცისკაცის სტატია: „ერთად თუ ცალკე?“. ავტორი ლაპარაკობდა თაობათა ცვლის სოციალურ პრობლემაზე, ყოფითს საკითხებზე: სად უნდა იცხოვრონ ახალდაქორწინებულებმა? შშობლებთან ერთად თუ ცალკე? აქ მრავალი წვრილმანი ოჯახური უსიამოვნება იყო მიმოხილული. თაობათა ინტერესების, გემოვნების სხვაობა ამ ვიწრო მასშტაბში, ერთ ჭერქვეშ განსაკუთრებული სიცხადით ჩრეს თავს; პაპას წიგნის კითხვა ურჩევნია, შვილს — ტელევიზორი... რძლის უსიამოვნო სიტყვამ გუნება უნდა ჩაუმწაროს დედამთილს ან პირიქით. მართლაცდა, თითქოს უმნიშვნელო წვრილმანია, არად ჩასაგდები, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად ამ არად ჩასაგდებით იწყება და დიდი განხეთქილებით მთავრდება მამათა და შვილთა ურთიერთობა.

ელემენტარული ეშმარიტებაა ისიც, რომ ყოველ ადამიანს საკუთარი კუთხე სჭირდება.

სტატიის ავტორის აზრით, უმჯობესია მოხუცმა შშობლებმა შვილების მახლობლად იცხოვრონ-მაშინ ისინი ერთადაც იქნებიან და ცალკ-ცალკეც. მაშინ პაპას საშუალება ექნება საღამოობით ასეირნოს შვილიშვილი, ხოლო რძალი, ვაჟიშვილი თუ ქალიშვილი ადვილად მოახერხებს ავად გამხდარი მოხუცების მიხედვას.

რა თქმა უნდა, სასურველია ამგვარი გამოსავალი, მაგრამ რამდენად არის ეს შესაძლებელი, როგორღა განხორციელდება იგი ქალაქის რთულ საბინაო პირობებში?

არის სხვა გზაც: მოხუცთა თავშესაფრები, პენსიონერთა სახლები, რომლებიც უკვე მრავლად არის ჩვენი ქვეყნის ბევრ ქალაქში. აქ, დაკრიალებულ ოთახებში ცხოვრობენ მოხუცები, აქვთ ფართო და ნათელი სამზარეულო, კალორიული საჭმელი; აქვთ ტელევიზორი და სამკითხველო დარბაზი; თავს დასტრიალებენ ექიმი და ექთანი; განსაზღვრულ დროს სეირნობენ, თამაშობენ ჭადრაკს, მახლობლები სტუმრად მოდიან, ნახულობენ...

რაც უფრო იდეალურ სურათს დავხატავთ ამ სახლებისა, მით უფრო გვეტკინება გული... ვაჰ აკვარიუმს ანა ჰგავს იგი? აკვარიუმს, სადაც ფესვებდაჭრილი ბებერი ხეები ჩაურგავთ სათბურებში... რა სასწაული გაახარებთ მათ!

მთიან გურიაში, ერთ ღვთისა და კაცისაგან დავიწყებულ სოფელში ზვეირსიტყვიერების ნიმუშებს ვიწერდით. ერთ საოცარ ბერიკაცს მივაგენით. ჯერ ხმა ვერ ამოვაღებინეთ, მერე კი ზღაპრებითა და ჯადოსნური ამბებით აგვავსო. მარტოდ ცხოვრობდა. კვირაში სამჯერ მაინც აკითხავდა რაიონში გადასული შვილი: ნუ ჯიუტობ ჩვენთან გადმოდიო. მთის ჩიტი მთას შეაკვდებაო, უმეორებდა მოხუცი და ფეხს არ იცვლიდა.

გურამ რჩეულიშვილის ერთი მოთხრობა მაგონდება: გაზაფხულზე, ეისმარე დღეს მეხუთე სართულიდან ჩამოდის სოფლიდან ქალაქში შვილთან გადასახლებული ბერიკაცი და ყინიანად ჩიჩქნის ტროტუარზე ამოზრდილი ხის გარშემო ასფალტში ჩაჭედილ ორიოდე მტკაველ მიწას.

- მიწა, წყარო, ფთალეთი და სურო მსხლის ხეზე, წყლის კოპე, კედელზე მიკრული გახუნებული ფოტო — შედის მოგონებათა უზარმაზარ მარაგში; ეს ის სამყაროა, რომელსაც წელთა სიმრავლე ქნის მხოლოდ...

თითოეულს აქვს საკუთარი ელვერი და მომხიბლობა, როგორც ყველა ადამიანის ცხოვრებას საერთოდ.

და ეს სამყარო კვდება აკვარიუმის კედლებში.

ამის გარდა, უმთავრესი ხომ მახლობელთა სიყვარული და სითბოა. მოხუცებულებს იგი ისევე სჭირდებათ, როგორც ბავშვებს. უფრო მეტადაც. რომელი იდეალური თავშესაფარი ანაზღაურებს ამ დანაკლისს?

სიბერე — სიბრძნეაო, უთქვამს ხალხს. ბავშვი და მოხუცი — ეს ორი პოლუსია — ფრსულისა და მომავლის ხატებაა, რომლის ბალავარზეც შენდება ოჯახი. პატივისცემა, მაღალი მორალური შეგნება განამტკიცებს მას. და როცა იგი ადამიანის შინაგანი სამყაროდან მოდის, როცა მისი ზნეობისა და ინტელექტის განუყოფელი ნაწილია, პრობლემა თავისთავად იხსნება: მაშინ, ერთ ჭერქვეშ, სოფლად თუ ქალაქად შეთანხმებითა და სიყვარულით ცხოვრობენ თაობები.

ბებიას ნაამბობი ზღაპარი, ბაბუას დარგული ნერგი, მათი ჩაყრილი ვენახი, მათი მიმჭკნარი ხელის სითბო და ალერსი, დატუქსვა და დაყვავება. აი, ეს ქმნის ოჯახის ისტორიას, ზრდის ბავშვს კაცურ კაცად.

ცოლი და ქმარი, რძალი და დედამთილი, შვილი და მამა... ვაი, რომ ეს ურთიერთობები ზოგჯერ მრავალსახოვან ოჯახურ დრამას ქმნის... ამ დრამატული სიუჟეტებიდან ერთადერთი კეთილი გამოსავალი მაღარ ზნეობა, სიკეთის ნიჭი და შეგნებაა... ამ თვისებებს კი ჩანერგვა მერხიდანვე უნდა. ბალტიისპირეთის ზოგ სკოლაში საგანგებოდ არის გამოყოფილი საათები ოჯახურ ურთიერთობებზე მსჯელობისათვის. ესეც გზეთებიდან გავიგეთ.

როგორც ჩანს, მართლაც მეტი ქადაგებაა საჭირო.

„დაგბერდი, მშვილდი ძირს დავდეო“, იტყოდა ქართველი კაცი და ეს იმას ნიშნავდა, რომ ფიზიკურ ჭაბანში ვეღარ შეებმებოდა იგი. მისი მშვილდი მრავალი წლის გამოცდილება და სიბრძნე ხდებოდა, რომელიც ოჯახის ფარად იქცეოდა ხოლმე.

მაღალი ზნეობაა მხოლოდ თავმდები იმისა, რომ აღარ განმეორდეს ტრაგედია თავსებიანი დედაკაცისა, რომ გოდრები აღარ დასჭირდეთ სიბერეში უმადურ შვილებს.

ᲗᲘᲜᲐ ᲩᲮᲐᲘᲫᲔ.

ᲝᲯᲐᲮᲘ

ᲓᲐᲕᲑᲔᲠᲓᲘ, ᲛᲨᲕᲘᲚᲓᲘ ᲫᲘᲠᲡ ᲓᲐᲕᲓᲔ...

ᲤᲘᲖᲘᲙᲘᲡ ᲗᲐᲠᲘ

ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲗᲐᲗᲕᲘᲡ

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა წიგნი თბილისის შესახებ, რომელიც არათუ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის სტუმრებს, თვით მის მკვიდრთაც ეარგ სამსახურს გაუწევს.

„ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ — ᲛᲪᲘᲠᲔ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲒᲖᲐᲛᲙᲕᲚᲔᲕᲘ“ — ასეთია ამ წიგნის სათაური, რომლის ავტორს **გიორგი ხუციშვილს** სიყვარული და მონდომება არ დაუკლია მისთვის. წიგნის მიზანია მკითხველს დაეხმაროს თბილისის მდიდარი წარსულისა და აწმყოს გაცნობაში, უჩვენოს მას ჩვენი ქალაქის ხედრითი წონა რესპუბლიკის ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ამასთანავე, რაც მეტად საგულისხმოა, ავტორი თანამიმდევრულად, მხატვრულად და ფაქტების ენით ხატავს სურათს.



ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი ა. ბანძელაძე თავის სახელოსნოში გ. ტაბიძის ქანდაკებასთან.

ნ. მეᲡᲘᲡᲘᲡ ფოტო.

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ დამსახურებული მხატვრის ალექსანდრე ბანძელაძის საინტერესო შემოქმედებას კარგად იცნობს ფართო საზოგადოებრ ი ო ბ ა ... ისიც ცნობილია, თუ რა [illegible] ბელი და საყვარელია მხატვრისათვის დიდი ქართველი პოეტის ფანატიკოსი ტაბიძის თემა. თუნდაც, რად ღირს ა. ბანძელაძის მიერ ნიჭიერად დაწერილი გალაკტიონის ფერწერული პორტრეტი წიგნის კითხვის დროს.

ხელოვანმა ერის საყვარელ მგოსანს ქანდაკებაშიც „შეპბედა“ და ოსტატურად გამოძერწა პოეტისა და მოქალაქის შესატყვისი ქანდაკება.

ᲓᲐᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲡ ᲛᲐᲡᲙᲘᲜᲫᲚᲔᲑᲘ

ᲓᲐᲛᲝᲣᲐᲠᲓᲐ კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის პირველი ეტაპის მატჩები.

ᲕᲘᲚᲜᲘᲣᲡᲨᲘ ბოლო, მეხუთე დღის შეხვედრები ასე დამთავრდა: მოსკოვის „დინამო“-კიევის ასკ — 114:93, მინსკის რტი-ვილნიუსის „სტატბა“ — 105:114, ცსკა-კაუნასის „ჟალგირისი“ — 118:99.

ᲚᲔᲜᲘᲜ�გᲠᲐᲓᲨᲘ მეოთხე დღის ბოლო შეხვედრაში კიევის „სტროიტელმა“ დაამარცხა ადგილობრივი „სპარტაკი“ — 79:76. **ᲒᲣᲨᲘᲜ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ ᲚᲔᲜᲘᲜ�გᲠᲐᲓᲘᲡ „ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲡ“. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ, ᲠᲝᲛ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲜᲐᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ** 78:74. დანარჩენ ორ შეხვედრაში ასეთი შედეგები აღინიშნა: კიევის „სტროიტელი“-ვლადივოსტოკის „სპარტაკი“ — 89:75, რიგის ვეფი-ტალინის „კალევი“ — 101:75.

ᲠᲘᲒᲐᲨᲘ კი დამთავრდა ქალთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრე. საუკეთესო ექვსეულში, რომელიც განაგრძობს პირველობისათვის ბრძოლას, შევიდნენ: რიგის ტტტ (43 ქულა), მოსკოვის ოლქის „სპარტაკი“ (41), მოსკოვის „დინამო“ (39), ვილნიუსის „კიბირკშტისი“ (35), ალმა-ათის „უნივერსიტეტი“ და ლენინგრადის „სპარტაკი“ (33-33 ქულა), აღნიშნული გუნდები მესამე და მეოთხე წრის მატჩებს გამართავენ 28 იანვრიდან 12 მარტამდე.

ᲛᲚᲔᲝᲡᲜᲣᲠ ᲛᲔᲠᲘᲓᲘᲐᲜᲔᲑᲖᲔ

ᲕᲘᲚᲜᲘᲣᲡᲘ. აქაურ მძლეოსნურ მანეჟში გამართულ ლიტვის ზამთრის პირველობაში, რომელშიც სსრ კავშირისა და ბულგარეთის ნაკრები გუნდების წარმომადგენლებიც ასპარეზობდნენ, მსოფლიოში სეზონის საუკეთესო შედეგი აჩვენა სიგრძეზე ხტომაში ვილნიუსელმა ვლადიმერ ცეპელიოვმა— 797 სანტიმეტრი.

ᲓᲝᲠᲢᲛᲣᲜᲓᲘ. ურსულა ხოოფი (გფრ) პირველი სპორტსმენი ქალია, რომელმაც დარბაზში 800 მეტრი 2 წუთზე ნაკლებ დროში გაირბინა (1 წუთი და 59,9 წამი).

ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ

Ჯ. ᲚᲝᲡᲐᲑᲔᲠᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ მძლეოსნურ მანეჟში — „ოკტობერში“ გაიმართა დედაქალაქის ზამთრის ღია პირველობა მშვილდოსნობაში, რომელშიც სსრ კავშირის ყველა უძლიერესმა სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა. აღსანიშნავია, რომ 8-1 ვარჯიშში ყველა საპრიზო ადგილი სტუმრებმა მოიპოვეს.

განსაკუთრებით დამაბეზოლად წარიმართა ასპარეზობა ქალთა შორის. ამას ისიც მოწმობს, რომ ვერც ერთმა მონაწილემ ვერ შეძლო ზედიზედ ორ დისტანციაზე გამარჯვება. თავდაპირველად დაწინაურდა თბილისელი ქეთევან ლოსაბერიძე, რომელმაც 70 მეტრზე სროლაში 304 ქულა დააგროვა, რაც საკავშირო მიღწევაა. მას მერე ცალკეულ დისტანციებზე გამიმარჯვეს ირკუტსკელმა ლიდია შიკოტამ, ტაშკენტელებმა ოლღა როგოვამ და ნატალია ბუტუზოვამ. ოთხ დისტანციაზე ასპარეზობის ჯამით პირველობა მოიპოვა ბუტუზოვამ (1261 ქულა). მეორე ადგილზე გასული ლოსაბერიძე გამარჯვებულს მხოლოდ 4 ქულით ჩამორჩა (1257). მესამე ადგილი წილად ხვდა შიკოტას (1256).

ვაჟებში სპორტი ადგილები ასე განაწილდა: 1. ვ. მაქსიმოვი (ბაკო, 1295 ქულა), 2. გ. კირიჩენკო (ხარკოვი, 1286), 3. ვ. ეშეევი (ჩიტა, 1280). მაქსიმოვი 30,50 მეტრ დისტანციებზე და აბსოლუტურ პირველობაში სამი საკავშირო მიღწევის ავტორი გახდა (შესაბამისად 356,323 და 1295 ქულა).

„ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲡᲢᲐᲠᲢᲘᲐ“

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ შეერთებული შტატების უძლიერესმა სპორტერმა კლენსი ედვარდსმა თავისებური რეკორდი დაამყარა: მან 1978 წლის საზაფხულო სეზონში ოცდათექვსმეტ შეჯიბრებაში მიიღო მონაწილეობა (15-ჯერ აშშ-ში, 21-ჯერ — ევროპაში). შარშან ედვარდსმა მსოფლიოში საუკეთესო შედეგები აჩვენა ორივე სპორტულ დისტანციაზე (100 მ — 10,07 და 200 მ — 20,03).

ედვარდსის განცხადებით ახლა მისი მთავარი მიზანია მოსკოვის ოლიმპიადაზე ოქროს მედლის მოგება.

დავავზობთ მის რამდენიმე გამონათქვამს:

— ᲩᲛᲐ ᲐᲠ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲓᲘᲗ ᲓᲘᲓᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲝᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲠᲗᲕᲐᲚ ᲙᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲬᲘᲜ, ᲠᲝᲪᲐ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲖᲔᲓᲘᲗᲖᲔᲓᲘ ᲡᲐᲛ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ (100, 200 Მ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲜᲐᲗᲠᲔᲑᲘᲗ) ᲒᲐᲛᲘᲜᲡᲚᲐ ᲒᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲗ?

— ისეთი მაღალი რანგის შეჯიბრებებში, სადაც აუცილებელია რამდენიმე სახეობაში მონაწილეობა, რომ არ „გადავიწვე“ თანაგუნდელებში ვეძებ მხარდაჭერას. ამ დროს მე უფრო გუნდის ინტერესებზე ვფიქრობ, ვინემ საკუთარ წარმატებებზე.

— ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲛᲔᲑᲠ ᲡᲢᲐᲠᲢᲖᲔ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲛᲘᲪᲮᲠᲘᲗᲔᲑᲡ ᲛᲝᲓᲒᲔ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲖᲔ ᲓᲘᲡᲢᲐᲜᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲝᲡᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘᲗ?

— რას იზამ, მე ყოველთვის სხვებზე უფრო „ზანტად“ ვიწყებ სტარტს. სამაგიეროდ, დისტანციის მეორე ნახევარს სხვებზე უფრო სწრაფად დავრბივარ. როგორც წესი, ფინიშამდე რამდენიმე მეტრი რომ მრჩება, მაშინ ვიგებ ხოლმე უმრავლეს შეჯიბრებას.

— ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲓᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲐ?

— მოსკოვის ოლიმპიადას ჩემს სპორტულ კარიერაში ყველაზე დიდ ასპარეზობად ვთვლი. მე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ ოლიმპიადაში გამოსვლას, ვინაიდან მაქვს საუკეთესო შედეგები და მინდა გამარჯვების პრეტენდენტი ვიყო. მოსკოვის ოლიმპიადა ჩემი მთავარი სტარტია.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

24 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ

09.00 — „ᲕᲠᲛᲘᲐ“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 12.00 — აბიტურიენტისათვის — მათემატიკა (ფერადი), 17.30 — განცხადებები (ფ ე რ ა დ ი), 17.35 — შვეიცარიელი გერმანული ენა, 18.05 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.15 — პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე, 18.45 — ბავშვებისათვის — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მეზავრი“, 19.25 — დოკუმენტური ფილმი, 19.35 — სოციალისტური შეჯიბრების დღიური, 19.50 — მულტიპლიკაციური ფილმ ე ბ ი, 20.20 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 20.50 — „წარდგენილია რუსთაველის პრემიაზე“ — ვერიკო ანჯაფარიძე. კ. მარჯანიშვილის სახელ ო ბ ი ს სახელმწიფო აკადემიურ ი თეატრის სპექტაკლი „მოჩვენებანი“ (პირველი მოქმედება), 22.00 — „ᲕᲠᲛᲘᲐ“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი „მოჩვენებანი“ (მეორე მოქმედება), 23.35 — სპორტული მიმოხილვა.

ᲠᲐᲓᲘᲝ

25 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ

06.10 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ჩვენი მთა-ბარის პანგები, 06.50 — სოფლის დილა, 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მოსკოვიდან), 08.40 — მსუბუქი მუსიკა, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ა. ბუკია — ოპერა „არსენა“. ნაწყვეტები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მოსკოვიდან), 11.10 — კ. ხაჩატურიანი — სონატა ჩელოსა და ფორტეპიანოსათვის, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა“ — შოთა რუსთაველი — „ვეფხისტყაოსანი“, 17.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 17.35 — მოსწავლეთათვის — რადიოდადგმა „ჩემო შვილდავ!“, 18.00 — თბილისის ახალი ამბები, 18.10 — მელოდია, რიტმი, განწყობილება (კონცერტი), 19.00 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი — „ხუთწლედის შრომითი რიტმი“, 19.20 — ჯ. როსინი — უვერტურა, 19.30 — უკანასკნელი ცნობები, 19.40 — ეკონომ მელოდიები, 20.30 — თეატრი და ცხოვრება — მიმოხილვა (მოსკო ვ ი დ ა ნ), 21.45 — წარდგენილია რუსთაველის სახელობის პრემიაზე, 22.15 — გ. ცაბაძე — სიმღერები, 22.30 — უკანასკნელი ცნობები, 23.30 — უკრავს სსრ კავშირის დიდი აკადემიური თეატრის მეგიოლინეთა ანსამბლი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

24 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

Თ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ᲛᲔᲓᲔᲐ (V ᲐᲥᲢᲘ. VII ᲬᲐᲠᲛ.); კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწი ფ ო აკადემიური — ᲔᲖᲝᲨᲘ ᲐᲕᲘ ᲫᲐᲚᲚᲘᲐ; ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ᲡᲐᲗᲐᲓᲐᲠᲘᲒᲝ ᲡᲐᲪᲘᲝᲚᲔ.

26-27-28 იანვარს სპორტის სახახლეში ტარდება თბილისის XVIII საერთაშორისო ტურნირი

ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚ ᲰᲘᲓᲐᲚᲒᲝᲨᲘ

მონაწილეობენ: ბულგარეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთ ი ს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, კუბის, რუმინეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, სსრ კავშირისა და საქართველოს უძლიერესი ფალავნები.

ხალიჩაზე გამოვლენ: ლ. თედიაშვილი, ა. ბულთანოვი, ხ. ანდიევი, ნ. მოდებაძე, რ. დმიტრიევი, ი. იარიგინი, ა. პროკოპჩუკი და სხვები.

დასაწყისი: 26 იანვარს — დილით 12-00 საათზე, საღამოს 18-00 საათზე; 27 და 28 იანვარს — დილით 11-00 საათზე, საღამოს 18-00 საათზე.

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
Გ. ᲑᲔᲓᲘᲜᲘᲨᲕᲘᲚ